




მეცნიერული კვლევის შედეგად გამოქვეყნებულია ქვემოთ მოცემული მონაცემები (ნაშრომის ავტორის მიერ მოწოდებული)



ილიას
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ბამონცემლობა

ILIA
STATE
UNIVERSITY
PRESS

ISBN 978-9941-18-277-8




9 789941 182778 >

დimitრი ახვლედიანი, მიხეილ ელაშვილი
გიორგი კირკიტაძე, სულხან ხარაბაძე
გიორგი ასათიანი

მასალები ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რეკონსტრუქციის

(ნაშრომები, სამაროვნები)



დimitრი ახვლედიანი, მიხეილ ელაშვილი
გიორგი კირკიტაძე, სულხან ხარაბაძე
გიორგი ასათიანი

მასალები
ძვ.წ. V-I საუკუნეების
კოლხეთის
არქეოლოგიური
რეკონსტრუქციის
ნამოსახლარები
სამაროვნები



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი – 2017 წელი

დიმიტრი ახვლედიანი, მიხეილ ელაშვილი, გიორგი კირკიტაძე
სულხან ხარაბაძე, გიორგი ასათიანი

მასალები ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რეკონსტრუქციის
(ნაშრომები, სამართხები)

ნაშრომი მომზადდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მხარდაჭერითა და მნიშვნელოვანი დახმარებით.



რედაქტორი: **დარეჯან კაჭარავა**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ქეთევან გოგავა**

ISBN 978-9941-18-277-8

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევნი

შესავალი.....	5
ძვ.ნ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის წყაროების მოკროვებისა და წარმოჩენის პრინციპები.....	7
ძვ.ნ. V-I სს-ის კოლხეთის ნამოსახლარები და სამაროვნები	11
§ I. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი.....	11
§ II. კოლხეთის ცენტრალური სანაპირო ზოლი.....	14
§ III. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი	19
§ IV. ცენტრალური კოლხეთი, მდ. რიონის სამხრეთით	25
§ V. ცენტრალური კოლხეთი, მდ. რიონის ჩრდილოეთით.....	35
§ VI. აღმოსავლეთ კოლხეთი	37
§ VII. ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთი.....	38
§ VIII. კოლხეთის მთიანი ზოლი	43
დასკვნა.....	44
გამოყენებული ლიტერატურა.....	47
თაბულებისა და რუკების აღწერილობა	72
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....	73
შემოკლებათა განმარტებები	79

შესავალი

კვლევის ამ ეტაპზე, როდესაც, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია – ისტორიული კოლხეთი – არქეოლოგიურად თითქმის თანაბრად არის შესწავლილი, დღის წესრიგში დადგა არქეოლოგიური წყაროების ახლებურად წარმოჩენა კოლხეთის არქეოლოგიური რუკის სახით. ასეთი რუკა მოცემულია საბჭოთა კავშირის არქეოლოგიის ერთ-ერთ ტომში, რომელიც ამიერკავკასიისა და შუა აზიის უძველესი სახელმწიფოებისადმი არის მიძღვნილი, მაგრამ ძალზე ზოგადად ასახავს ძვ.წ. VII-ახ.წ. IV სს.-ის ძეგლებს [Археология СССР, 1985:15]. სხვა სახის რუკები შედგენილია ორი ძირითადი მიზნით: ცალკეული რეგიონის ძეგლებისათვის, როგორცაა მაგ., აფხაზეთის არქეოლოგიური რუკა, სადაც ამ ტერიტორიაზე გამოვლენილი ყველა პერიოდის ძეგლია ასახული [Воронов, 1969] და ცალკეული სახის ძეგლების – ქვევრსამარხების [თოლორდავა 1980, ტაბ. I], კოლხური თეთრის [Лордкипანიძე Г., 1978:30] და სხვ. წარმოსაჩენად.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, მოვახდინოთ კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V-I სს.-ის ძეგლების კომპილირება (ამჯერად, მხოლოდ ნამოსახლარებს და სამაროვნებს შევცხებით), შემდგომ ამ მასალის ტერიტორიალური და ქრონოლოგიური პრინციპით დაჯგუფება და მიღებული მონაცემების დატანა რუკებზე. ამ რუკების საფუძველზე შევცდებით იმ ცვლილებების ასახვას, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ჰქონდა ადგილი. ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ.წ. V ს-ის დასაწყისს ვიღებთ, ვინაიდან იგი წარმოადგენს მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისს ძველი კოლხეთის ისტორიაში: ესაა წარჩინებულთა მდიდრულ სამარხებში დაკრძალვა და ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ფულის, როგორც ადგილობრივის, ასევე უცხოურის მიმოქცევაში შემოსვლა. ზედა ქრონოლოგიური ზღვარი (წელთაღრიცხვათა მიჯნა) კი პირობითია და მისი დაზუსტება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

განსახილველ საკითხს მიეძღვნა დ. ახვლედიანის სადისერტაციო შრომის ნაწილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზემოთდასახელებულ ნაშრომში წარმოდგენილი იყო ძვ.წ. V-II სს.-ის ძეგლები [ახვლედიანი, 2004ა]. ამჯერად, მას დაემატა ძვ.წ. I ს-ის მასალაც. დისერტაციაში ყუ-

რადღება უფრო ისტორიულ დასკვნებზე იყო გამახვილებული. ჩვენს ამოცანას კი, უპირველეს ყოვლისა, ამ მონაცემების ახალი მასალებით შევსება და ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რუკების შედგენა წარმოადგენს. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, წყაროებად გამოყენებული გვაქვს მხოლოდ ნამოსახლარები და სამაროვნები. რაც შეეხება განძებს და ცალკეულ არტეფაქტებს, არქეოლოგიური რუკისათვის მათი დამუშავება სამომავლოდ იგეგმება.

წარმოდგენილი მონოგრაფიის ხარვეზები, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ხასიათისაა. სუბიექტური ფაქტორით გამოწვეულია ის ხარვეზი, რომ ავტორებს საშუალება არ ჰქონდათ მოყვანილი მასალა უშუალოდ გადაემოწმებინათ და ძირითადად, ლიტერატურაში არსებულ თარიღებს ეყრდნობიან (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ობიექტური ფაქტორი კი იმაში მდგომარეობს, რომ სადღეისოდ არ არის მიკვლეული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორებიცაა ფასისი და დიოსკურია. ამიტომ მათ წარმოჩენას მხოლოდ მწირ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შევეცდებით. გარდა ამისა, მართალია არქეოლოგიურად შესწავლილია პიტიუნტი, შორაპნისა და დიმის ციხეები, მაგრამ პიტიუნტში დღემდე არ არის გამოვლენილი სტრაბონის მიერ ნახსენები ქალაქის დროინდელი ძეგლები (ძვ.წ. II-I სს.). ასევე შორაპანსა და დიმში არ არის მიკვლეული იბერიის მეფის ფარნავაზის დროინდელი (ძვ.წ. IV-III სს.) ციხეთა ნაშთები.

თავი I

ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის წყაროების მოგროვებისა და წარმოჩენის პრინციპები

ნაშრომში წყაროები (იგულისხმება ნაქალაქარები, ნამოსახლარები, სამაროვნები და ცალკეული სამარხები) მოგროვებულია და წარმოჩენილია შემდეგი პრინციპით: ქვეყანა, რომლის ტერიტორია თითქმის ემთხვევა დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ფარგლებს, დაყოფილია რვა ზონად. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამდაგვარი დაყოფა წინასწარულია, უფრო ინტუიციანია დამყარებული და ზოგიერთ შემთხვევაში პირობით ხასიათსაც ატარებს. კოლხეთის დაყოფა სხვადასხვა რაიონებად ეკონომიკური და კულტურული ნიშნების გათვალისწინებით ხორციელდება. ეკონომიკური ფაქტორებიდან სადღეისოდ ყველაზე უფრო თვალშისაცემია უცხოური ნაწარმის – მონეტების, კერამიკული დამღების, კერამიკული ტარის, სუფრის ჭურჭლის გავრცელება. კულტურული ფაქტორით კოლხეთის რაიონირება გულისხმობს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის თავისებურებების თავმოყრასა და გამოვლენას. ჩვენ ამ შემთხვევაში ძირითად აქცენტს სამარხთა ტიპებზე ვაკეთებთ, თუმცა მხედველობაში გვაქვს მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიც. თითოეული რაიონის გამოყოფაზე ცალ-ცალკე გვექნება საუბარი. ასევე აღსანიშნავია, რომ ისტორიული კოლხეთის სხვადასხვა მხარე, სხვადასხვა სისრულითაა შესწავლილი, და შესაბამისად, მომავალში ჩვენი მონაცემების ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს.

თითქმის ყველა რაიონს თავისი ცენტრი გააჩნია, რომელიც რუკაზე აღნიშნულია, როგორც „მთავარი ნაქალაქარი“ (ფიჭვნარი, ვანის ნაქალაქარი, საირხე), ან „ძველი ქალაქი“, ჯერ არ გამოვლენილი (ფასისი, დიოსკურია). ჩვენს ხელთ არსებული წყაროები (წერილობითი და არქეოლოგიური) ძირითადად ეკონომიკური ცენტრების გამოყოფის საშუალებას იძლევა, ხოლო რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი სამართლებრივად მომიჯნავე ტერიტორიებთან, ამის შესახებ არანაირი პირდაპირი ინფორმაცია არ გავაჩნია. ეს მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ამიტომ ამ პრობლემას გვერდს ავუვლით. ამავე

დროს ცენტრი და შემოგარენი მეტ-ნაკლებად ერთიან სისტემას ქმნის, შესაბამისად, შემოგარენში დაფიქსირებული ცვლილებები, ცენტრში მომხდარ ცვლილებებს უნდა ასახავდეს.

ყველა რაიონს პირობით დასახელებას ვაძლევთ, განვსაზღვრავთ მის ცენტრს და თანამედროვე ადმინისტრაციული ერთეულების გათვალისწინებით ვახდენთ ცენტრის შემოგარენის ამსახველი ძეგლების (ნამოსახლარი, სამაროვანი) ჩამოთვლას; ყველა ძეგლს ვნომრავთ და რუკებზე ვნიშნავთ (რუკებზე ნამოსახლარი და სამაროვანი ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის); თუ ძეგლები ერთმანეთთან ისე ახლოს მდებარეობენ, რომ რუკაზე მათი ცალ-ცალკე დატანა შეუძლებელია – ერთ ნომერს ვაძლევთ; ლიტერატურას ვუთითებთ ყოველი პუნქტის არქეოლოგიური გათხრების შესახებ; რამდენადაც შესაძლებელია ვახდენთ ძეგლების იდენტიფიკაციას, პერიოდიზაციას, ატრიბუციას. თუ ძეგლის თარიღი ძალზე ზოგადია მაგ. „ანტიკური ხანა“, მას მხოლოდ რიგით ნომერს ვაძლევთ და რუკაზე არ დაგვაქვს. სირთულეს იწვევს რუკაზე იმ ძეგლების დატანაც, რომლებიც „გვიანელინისტური ხანით“ არიან დათარიღებულნი, ვინაიდან ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არის დაზუსტებული ამ პერიოდის ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები.

რუკების შედგენა მოხდა გეოსაინფორმაციო სისტემების პროგრამულ პაკეტში Arc Gis 10.2.2-ში. მის საფუძველს წარმოადგენს NASA-ს სატელიტის Aster-ის რელიეფის ციფრული სიმალლითი მოდელი (რეზოლუციით 30 მ) და დაჩრდილული რელიეფის მოდელი (მასშტაბი 1:900000).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ისტორიული კოლხეთი, სავარაუდოდ, რვა ზონად შეიძლება დაიყოს. ესენია:

I. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი – ეკონომიკური ცენტრით ფიჭვნარში. ეს რეგიონი შემოიფარგლება თანამედროვე აჭარით (როგორც სანაპირო ზოლით, ასევე მთიანი რაიონებით), და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სანაპირო ზოლით, ვრცელდება გონიოდან ურეკამდე. ფიჭვნარის ცენტრად მიჩნევა გამოწვეულია ამ რეგიონში ყველაზე უფრო დიდი ფართობის ნამოსახლარისა და დიდი სამაროვნის არსებობით. აქვეა გამოვლენილი ყველაზე დიდი რაოდენობით იმპორტული ნაწარმი და უცხოური მონეტები. რა სოციალური დამოკიდებულება იყო ფიჭვნარსა და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის დანარჩენ მოსახლეობას შორის, ცნობილი არ არის.

აღნიშნული რეგიონი კოლხეთის დანარჩენი მხარეებისაგან გამოირჩევა იმით, რომ აქ ძვ.წ. V-IV სს. და III ს-ის პირველ ნახევარში კოლხურ თეთრთან ერთად მიმოქცევაშია უცხოური მონეტები. მიცვალებულები, როგორც ბერძნები, ასევე კოლხები – დაკრძალულნი არიან ორმოსამარ-

ნებში, ზოგიერთ შემთხვევაში შიგ ჩადგმული ხის კუბოთი. ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრიდან სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უცხოური მონეტებისა და კერამიკის იმპორტი წყდება [ახვლედიანი, 2005:65-71] და მხოლოდ ძვ.წ. I ს-ში განახლდება [ხოშტარია, 1962:28].

II. კოლხეთის ცენტრალური სანაპირო ზოლი – ეკონომიკური ცენტრი ფასისი, მოიცავს თანამედროვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სანაპირო ზოლს, ქ. ფოთსა და მის მიდამოებს, ხობის, ზუგდიდისა და გალის მუნიციპალიტეტებს. ფასისის მიჩნევა ეკონომიკურ ცენტრად გამოწვეულია იმით, რომ იგი იწოდებოდა კოლხთა სავაჭრო ადგილად (Strabo XI, 2,16), ისევე როგორც ფიჭვნარის შემთხვევაში, არ არის ცნობილი თუ რა სოციალურ დამოკიდებულებაში იყო ფასისი მის მიმდებარე სამოსახლოებთან. ეს რეგიონი სხვებისაგან იმით გამოირჩევა, რომ აქ ძვ.წ. V-IV სს. და III ს-ის პირველ ნახევარში მიმოქცევაში იყო მხოლოდ კოლხური თეთრი. მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გამოვლენილია ორმოსამარხები. ამ რეგიონშიც, ისევე როგორც სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში, თითქმის არ არის გამოვლენილი ძვ.წ. II-I სს-ის იმპორტული ნაწარმი [ახვლედიანი, 2005:65-71].

III. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი – ეკონომიკური ცენტრით დიოსკურიაში. ეს რეგიონი მოიცავს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას, როგორც სანაპირო ზოლს, ასევე შიდა რაიონებს, გალის გამოკლებით. დიოსკურია მის გარშემო მცხოვრები ტომების სავაჭრო ადგილად იყო მიჩნეული (Strabo XI, 2, 16). ეს რეგიონი მისი წინამორბედი ორისაგან გამოირჩევა იმით, რომ აქ კოლხური თეთრის მიმოქცევა ძალზე შეზღუდული იყო, უცხოური მონეტების ცირკულაცია კი მხოლოდ ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან იწყება. გარდა ამისა, საკმაოდ დიდი რაოდენობითაა დაფიქსირებული ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. I ს-ის უცხოური მონეტები [Дундуа, 1987; Шамба С., 1987]. ასევე გამოვლენილია ძვ.წ. II-I სს-ის იმპორტული კერამიკა (რაც სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთისა და ცენტრალური სანაპირო ზოლისათვის უცხოა) [ახვლედიანი, 2005:65-71]. მიცვალებულნი ორმოსამარხებში არიან დაკრძალულნი. რა სოციალურ დამოკიდებულებაში იყო დიოსკურია, მის მიმდებარე ტერიტორიასთან უცნობია.

IV. ცენტრალური კოლხეთი, მდ. რიონის სამხრეთით – ცენტრით ძველი ვანი. იგი მოიცავს ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების შიდა ტერიტორიას, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, სენაკის, აბაშის და სამტრედიის მუნიციპალიტეტების იმ ნაწილს, რომლებიც მდ. რიონის სამხრეთით მდებარეობენ, გარდა ამისა ვანისა და ბაღდადის მუნიციპალიტეტებს.

ეს ის რეგიონია, სადაც ძვ.წ. V ს. და IV ს-ის პირველი ნახევრის რიგითი სამარხები დაფიქსირებული არ არის, ხოლო ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან გვხვდება ქვევრსამარხები [თოლორდავა, 1980]. მიმოქცევაშია კოლხური თეთრი. ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან ძვ.წ. III ს-ის შუა წლებამდე ცირკულირებს უცხოური მონეტებიც, რაც დროებით შეწყდა და ძვ.წ. II-I სს-ში ისევ აღდგა [Дундуа, 1987]. იმპორტული ნაწარმი ძვ.წ. V-I სს-ის განმავლობაში მუდმივად შემოდის [ახვლედიანი, 2005:65-71].

V. ცენტრალური კოლხეთი, მდ. რიონის ჩრდილოეთით. ეს რეგიონი ძვ.წ. V-I სს-ში გამოკვეთილი ცენტრის უქონლობის გამო, შეიძლება ძველ ვანს ექვემდებარებოდა, რადგანაც ისევე როგორც მდ. რიონის სამხრეთით, აქაც გავრცელებული იყო ქვევრსამარხები (თუმცა ორმოსამარხებიც გვხვდება) [თოლორდავა, 1980; გვინჩიძე, 2003:23-28] და კოლხური თეთრი იყო მიმოქცევაში [Дундуа, 1987]. იმპორტული ნაწარმი ძალზე შეზღუდული რაოდენობით არის აღმოჩენილი. იგი მოიცავს თანამედროვე ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მარტვილის, ხონის, წყალტუბოს და ცაგერის მუნიციპალიტეტებს, ასევე ქ. ქუთაისსა და მის მიდამოებს, და აბაშის, სენაკის და სამტრედიის მუნიციპალიტეტების იმ ნაწილს, რომლებიც მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს ჩრდილოეთით მდებარეობენ.

VI. აღმოსავლეთ კოლხეთი. ეს რეგიონიც, ისევე როგორც წინამორბედი, შეიძლება ძველ ვანს იყო დაქვემდებარებული, ვინაიდან, აქაც სადღეისოდ გამოკვეთილი ცენტრი გამოვლენილი არ არის. აქაც, ასევე დამოწმებულია მიცვალებულთა ქვევრსამარხებში დაკრძალვის წესი [თოლორდავა, 1980]. არქეოლოგიური ძეგლები ძირითადად ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ასევე თერჯოლისა და ნაწილობრივ ბაღდადის მუნიციპალიტეტებში არის აღმოჩენილი.

VII. ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთი – ცენტრით საირხეში. ეს რეგიონი მოიცავს ძირითადად თანამედროვე საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს. გამოირჩევა იმით, რომ უცხოური ნაწარმი შეზღუდული რაოდენობით ვრცელდება – ძირითადად ბერძნული შავლაკიანი სუფრის ჭურჭელი [ახვლედიანი, 2005:65-71]; ასევე ეს რეგიონი არ განიცდის ელინისტური კულტურის ისეთ ზეგავლენას, როგორც ძველი ვანი.

VIII. კოლხეთის მთიანი ზოლი. უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომლებიც ამ რეგიონის არქეოლოგიურ კულტურას გამოხატავენ, ძირითადად მესტიისა და ონის მუნიციპალიტეტებშია აღმოჩენილი. კოლხეთის მთიან ზოლს არ გააჩნია ცენტრი.

ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის ნამოსახლარები და სამაროვნები

§ I. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი:

1. ფიჭვნარი (რუკა I); ფიჭვნარის ტოპოგრაფიული გეგმა იხ. ტაბ. I,1, შედგენილი ა. კახიძის მიერ [კახიძე, 2007, სურ. 2]). ძველი შედგება ნაქალაქარისა და სამაროვნისაგან [Кахидзе, 1971], ნამჭედურის ბორცვზე გაშენებული უნდა ყოფილიყო „აკროპოლისი“ [ვაშაკიძე, 1983:64-86; ვაშაკიძე, კახიძე, 1978:42-58; ვაშაკიძე, კახიძე, 1979:68-84; ინაიშვილი, 1973:3-37; ინაიშვილი, 1974:154-170; ინაიშვილი, 1977:54-66; ინაიშვილი, 1977ა:67-90; ინაიშვილი და სხვ., 1967:67-68; ინაიშვილი და სხვ., 1973:110; კახიძე, 1964:30-32; კახიძე, 1971; კახიძე, 1974:49-101; კახიძე, 1979:42-67; კახიძე, 1981:37-77; კახიძე, 1983:53-63; კახიძე, ვაშაკიძე, 1977:25; ფუთურიძე, კახიძე, 1965:11-15; Кахидзе, 1981; Инаишвили и др., 1979:163-166; Кахидзе и др., 1980:161-169; Микеладзе и др., 1976:34; Микеладзе и др., 1978:133-134; Микеладзе, Хахутаишвили, 1982:86-88; Микеладзе, Хахутаишвили, 1985:10-15; კახიძე და სხვ., 2004; კახიძე, 2007; კახიძე და სხვ., 2010; კახიძე და სხვ., 2014; კახიძე და სხვ., 2014ა].

იდენტიფიკაცია. ა. კახიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნაქალაქარი პომპონიუს მელასთან ნახსენებ კიკნოსთან უნდა იყოს გაიგივებული [Кахидзе, 1981ა]; ნ. ლომოურის აზრით კი Tabula Peuntigeriana-ზე აღნიშნული პორტუს ალტუსია [ლომოური, 1962:81-82].

პერიოდიზაცია. ფიჭვნარის ნაქალაქარზე ჩატარებული გათხრების საფუძველზე ანტიკური პერიოდის (ძვ.წ. VI-II სს.) ორი – კლასიკური და ელინისტური ხანის – ფენა გამოიყოფა [კახიძე, 1971:36; ფუთურიძე, კახიძე, 1965; Микеладзе, Хахутаишвили, 1985:11-13].

სამაროვანი დაყოფილია სამ ჯგუფად: 1) ბერძნული სამარხები – ძვ.წ. V-IV სს.; 2) კოლხური სამარხები – ძვ.წ. V ს.; 3) ელინისტური ხანის სამარხები – ძვ.წ. IV-III სს. (კოლხური) (იხ. ტაბ. I – ფიჭვნარის გენე-

რალური გეგმა, რომელიც შედგენილია ამირან კახიძის მიერ [კახიძე, 2007:310, სურ. 2]).

სადღეისოდ გათხრილია 418 ბერძნული სამარხი, რომლებსაც ამ. კახიძე სამ ფაზად აჯგუფებს: 1) ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი; 2) ძვ.წ. V ს-ის შუა და მეორე ნახევარი; 3) ძვ.წ. IV ს-ის პირველი სამი მეოთხედი. პირველ ფაზის სამარხები ღარიბული იყო, მეორე ფაზაში – მდიდრული, მესამე ფაზაში ისევ დაკნინება იწყება [Kachidze, 2001:72-75]. სამაროვნის კოლხურ ნაწილში ძვ.წ. V ს-ის 383 სამარხი, ხოლო ძვ.წ. IV-III სს-ის – 238 სამარხია გამოვლენილი [კახიძე და სხვ., 2004; კახიძე, 2007; კახიძე და სხვ., 2010; კახიძე და სხვ., 2014; კახიძე და სხვ., 2014ა].

ატრიბუცია. ამ. კახიძე მიიჩნევს, რომ ძველი ფიჭვნარის სტატუსი სხვადასხვა ეტაპზე ბერძნული კოლონიზაციის ხასიათმა განსაზღვრა. ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს – ძვ.წ. V ს-ის პირველ მეოთხედში, იონიური კოლონიზაციის პირობებში, იგი წარმოადგენდა იონიელი ბერძნების სამოსახლოს (ისევე, როგორც ბათუმი, ურეკი, ოჩამჩირე, ეშერა), რომლებიც ადგილობრივი არისტოკრატიის ხელშეწყობით, ან ძალადობრივი გზით, მიწების ხელში ჩაგდებათ წარმოიშვა. მას არ უნდა ჰქონოდა ვრცელი ხორა. ძვ.წ. V ს-ის 80-70-იან წლებში იწყება ატიკური კოლონიზაციის ეტაპი. თავდაპირველად საკოლონიზაციო პროცესში ატიკის საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. მათ ოიკოპედონი და ნაკვეთი ქალაქის ტერიტორიაზე უნდა ჰქონოდათ, რომელიც ფილის წევრებს შორის მიწის დანაწილების შედეგად იყო წარმოქმნილი. ძვ.წ. V ს-ის შუა წლებსა და მეორე ნახევარში, ფიჭვნარის კეთილდღეობა – მეტროპოლისის (ათენის) აყვავების ხანას უკავშირდება. ათენის დამარცხებას პელოპონესის ომში და მის დასუსტებას, ძველი ფიჭვნარის ცხოვრების დონის დაქვეითება მოჰყვა, ხოლო ძვ.წ. IV ს-ის 30-იან წლებში მაკედონელთა მიერ საბერძნეთის დაპყრობას – ფიჭვნარის ათენელთა სამოსახლოს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეტროპოლისთან, დაკნინება. ამ. კახიძის აზრით, ძვ.წ. II ს-ში წვრილი ხელოსნებისა და მიწათმფლობელების გაკოტრება, ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება, მიწის მფლობელი ზედაფენის ხელში მონური შრომის ფართო გამოყენება და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დაქვეითება იწყება. ამან გამოიწვია შავიზღვისპირეთის ქალაქების კრიზისი, მათ შორის ფიჭვნარისაც [Кахидзе, 1981ა]. თ. მიქელაძე და დ. ხახუტაიშვილი მიიჩნევენ, რომ ფიჭვნარის ნაქალაქარის საბოლოო დაქვეითება, სხვა ფაქტორებთან ერთად, ლაზური ტრანსგრესიით იყო გამოწვეული [Микеладзе, Хахутаишвили, 1985:8]. გ. გამყრელიძის ვარაუდით, ფიჭვნარი, რომელიც მანამდე კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ძვ.წ. IV

ს-ის მეორე ნახევარში დამოუკიდებელ, ბუფერულ ქალაქ-სახელმწიფოდ გარდაიქმნა [გამყრელიძე, 1985:95].

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

2. **გონიო (რუკა I)**. ნამოსახლარი, ძვ.წ. IV-III ს-ის დასაწყისი [ჩხაიძე, 1983:87-94]. ორი სამარხი – ძვ.წ. V ს. [მამულაძე, 2002; პლონტკე-ლიუნინგი და სხვ., 2002:79-81].

3. **მანვილაური (რუკა I, IV)**. ნამოსახლარი. წარმოდგენილი მასალის მიხედვით აქ გამოვლენილი ძეგლი ძვ.წ. V-III სს-ითა და ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ით თარიღდება [მამულაძე, 2002].

4. **ბათუმი, „თამარის ციხე“ (რუკა I)**. ნამოსახლარი, ძვ.წ. VIII-III სს. [კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989].

ქედის მუნიციპალიტეტი

5. **კვაშტა (რუკა I)**. ნამოსახლარი, ძვ.წ. V ს. [კახიძე, მამულაძე, 1988:47-60].

6. **კოლოტაური (რუკა I)**. ნამოსახლარი. ძვ.წ. V-III სს. [მამულაძე, 2002; მამულაძე, ხალვაში, 2002:28-41; მამულაძე, ხალვაში, 2002ა:17-43].

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

7. **ციხისძირი (რუკა I, III)**. ნ. ხოშტარიას აზრით, ეს პუნქტი „ახ.წ. VI საუკუნიდან ცნობილი იყო სახელწოდებით ქობულეთი-პეტრა.... ხოლო ადრე – ფიჭვნარი-ფითია [ხოშტარია, 1962:35-36].

ციხისძირში გამოვლენილია ძვ.წ. I ათასწლეულის სპილენძის სამი მონეტა: პანტიკაპეონის – ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედის, ამისოსი – 2 ც., ძვ.წ. 105-90 წწ. [ხოშტარია, 1962:28].

8. **კონი „ნაჯიხურალი“ (რუკა I)**. ნამოსახლარი (ანტიკური ხანა): დანგრეული სამარხი – ძვ.წ. IV ს-ის ბოლო [ქათამაძე, 1963:28-38].

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

9. **შეკვეთილი, „ლეკიანი“ (რუკა II)**. ჩოლოქის ნამოსახლარი – ძვ.წ. II ს. [პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2007:43-46].

სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ძეგლების განხილვის შემდეგ, ასეთი სურათი გამოიკვეთა: ძვ.წ. V-III ს-ის დასაწყისში ეს რეგიონი, ცენტ-

რით – ფიჭვნარი, თავისი განვითარების პიკს აღწევს, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაც ნამოსახლართა სიმრავლეა. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ხდება ცენტრის გაქრობა და რეგიონში, ზოგადად ნამოსახლართა რაოდენობის მკვეთრი შემცირება.

§ II. კოლხეთის ცენტრალური სანაპირო ზოლი:

10. ფასისი (რუკა I, II, III, IV). სადღეისოდ მიჩნეულია, რომ ძველი ქალაქი თანამედროვე ფოთის ტერიტორიაზე, ან მის მიდამოებში მდებარეობდა [ლიტერატურა იხ. Качарава, Квирквелия, 1991:289-293].

ქ. ფასისის ლოკალიზაციის პრობლემას პირველად დიუბუა დე მონპერე შეეხო. ქ. ფოთის აღმოსავლეთით გამოვლენილ ციხის ნანგრევებს, იგი ახ.წ. II ს-ის რომაულ კასტელუმთან აიგივებდა (ეს ციხე დღეს განადგურებულია). IV-VI სს-ის ფასისის ადგილმდებარეობას იგი სავარაუდოდ, ფოთის ტერიტორიაზე განსაზღვრავდა [Dubois de Montpéreux, 1839, III:62-81].

ფ. ბრუნე ფასისს პალიასტომის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე ათავსებდა [Брун, 1880:250].

ნ. შაფრანოვი უძველესი პერიოდის ფასისის ადგილმდებარეობას უკავშირებდა პალიასტომის სამხრეთ სანაპიროს; ახ.წ. II ს-ის ქალაქს – მდ. რიონის მარცხენა ნაპირს, სოფ. პატარა ფოთის მახლობლად; ახ.წ. VI ს-ის ფასისს კი – ფრ. დიუბუა დე მონპერეს გამოვლენილი სიმაგრის ნანგრევებთან აიგივებდა [Шафранов, 1882:45-58; 1885].

ლ. ელნიცკი ფასისს რიონის მარცხენა ნაპირზე, ზღვის შესართავთან ათავსებდა [Ельницкий, 1938:307-320].

ბ. კუფტინიცი მიიჩნევდა, რომ ქალაქი დროთა განმავლობაში ადგილს იცვლიდა. უძველეს ქალაქს იგი მდ. ფიჩორის აუზში ათავსებდა [Куптин, 1949:116].

მ. ბერძნიშვილის აზრით, ქ. ფასისი ყოველთვის მდებარეობდა რიონის მარცხენა სანაპიროზე: ბიზანტიური ხანის ფასისი (ახ.წ. IV-VI სს.) – სოფ. პატარა ფოთის მახლობლად; კლასიკური ხანის ფასისი – ბიზანტიურის აღმოსავლეთით; ხოლო რომაული ხანის (ახ.წ. II ს.) – იქ, სადაც დიუბუა დე მონპერემ ციხის ნანგრევები დააფიქსირა [ბერძნიშვილი, 1942:19-20].

გ. მელიქიშვილი და ნ. ხოშტარია ქ. ფასისს უცვლელად ფოთის ტერიტორიაზე ათავსებდნენ [ხოშტარია, 1953:33; Меликишвили, 1966:82-86].

ნ. ლომოური არ აზუსტებს რა ქალაქის ისტორიის პერიოდს, მას ფრ. დიუბუა დე მონპერეს მიერ მითითებულ ციხის ნანგრევებთან აიგივებს [Ломоури, 1957:96-110].

გ. გრიგოლია კლასიკური ხანის (ძვ.წ. VI-IV სს.) ფასისს პალიასტომის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე – მდ. ფიჩორის შესართავთან ათავსებს; ხოლო რომაული (ახ.წ. II ს.) და ბიზანტიური (ახ.წ. IV-VIII სს.) ხანის ქალაქს, ადგილ „ნაჯიხურთან“ [გრიგოლია, 1973:36].

ჭ. ჯანელიძის აზრით, ქ. ფასისი მდებარეობდა ფოთთან, ზღვის თანამედროვე ნაპირიდან 3-6 კილომეტრის დაშორებით, 2-3 მეტრის სიღრმეზე [ჯანელიძე, 1973:16].

თ. მიქელაძე მიიჩნევდა, რომ ქ. ფასისი ყოველთვის მდებარეობდა ზღვის ნაპირზე, მაგრამ ნაპირის კონფიგურაციის გამო, იგი ადგილს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იცვლიდა [მიქელაძე, 1978:83].

გ. გამყრელიძის აზრით, პალიასტომის ტბაში, ადგილ „ნატეხებში“ გამოვლენილი მასალა, რომელიც III-VII სს-ით თარიღდება, ამავე პერიოდის ქ. ფასისის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი უნდა იყოს [გამყრელიძე, 1987:97-117; გამყრელიძე, 1998:34]. რაც შეეხება კლასიკური და ელინისტური ხანის ქალაქს, იგი უნდა ლოკალიზდებოდეს ყულევ-ფოთისუფსისა და ჭალადიდ-საქორქიოს შორის არსებულ სამკუთხედში [გამყრელიძე, 2003:180].

რ. პაპუაშვილისა და ზ. ჯანელიძის აზრით, ფასისი უნდა დაარსებულიყო თანამედროვე ქ. ფოთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1.5-5 კილომეტრის დაშორებით, პალიასტომის ტბასა და მდ. რიონს შორის [Папуашвили, Джанелидзе, 2011:517].

ქ. ფასისის ისტორიის შესწავლისათვის წყაროებად ძირითადად გამოიყენება ძველი ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი ავტორების თხზულებებში დაცული ინფორმაცია. ცნობების სიმცირის გამო (მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია ქ. ფასისის შესახებ დაცულია სტრაბონთან, არიანესთან, აგათიასთან) თანამედროვე მეცნიერებაში, ქალაქის ისტორიის სხვადასხვა ეტაპის მიმართ სხვადასხვა შეხედულება არსებობს, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხვაი. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ეტაპს, რომელიც ექცევა ძვ.წ. VI-I სს-ის ფარგლებში.

პერიოდიზაცია. ფასისის დაარსება უკავშირდება დიდ ბერძნულ კოლონიზაციას და მის დამაარსებლად თემისტაგორას მიღებული ითვლება (Pomp. Mela, I, 108). რაც შეეხება კოლონიის დაარსების თარიღს, აქ მკვლევართა შორის ერთიანი მოსაზრება არ არის – 1) ძვ.წ. VII ს-ის ბოლო – ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისი [ბერძნიშვილი, 1969:121; ლომოური, 1962:46-52]; 2)ზოგადად ძვ.წ. VI ს. [Ehrhardt, 1983:85]; 3) ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი [ინაძე, 1982:120-121]; 3) ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი [Boardman, 1980:254]; 4) ძვ.წ. VI ს-ის შუა წლები [Tsetskhladze, 1992:240]; 5) ძვ.წ. VI ს-ის ბოლო [Жебелев, 1953:55; Болтунова, 1963:155]; 6) არაუაღ-

რეს დვ.წ. V ს-ის ბოლო, ან დვ.წ. IV ს-ის დასაწყისი [მიქელაძე, 1974:104; მიქელაძე, 1978:83-84]; 7) დვ.წ. 600-570 წწ. [Lordkipanidze O., 2000:61].

ფასისის და მისი შემოგარენის ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არ გაგვარჩნია. თ. დუნდუას აზრით, დვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში იწყება ქალაქის დაკნინება, რაც კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტაში გამოიხატა [დუნდუა თ., 1993:23].

ატრიბუცია. ქალაქის ისტორიის ადრეული ეტაპის (დვ.წ. VI-IV სს.) კვლევისას მეცნიერები ფასისის ატრიბუციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებს გამოთქვამენ: 1) კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი კოლხური ქალაქი, ბერძნული ემპორიონით [ლორთქიფანიძე ოთ., 1966:63-64]; 2) დამოუკიდებელი ბერძნული სამიწათმოქმედო პოლისი [Болтунова, 1979:259; Лордкипანიძე Г., 1979:325; Tsetskhladze, 1998:54]; 3) დამოუკიდებელი ბერძნული პოლისი ხორის გარეშე, რომლის მეურნეობის ძირითადი მიმართულება ვაჭრობა იყო [Инадзе, 1979:289]. ასევე არ არის ერთიანი აზრი დვ.წ. III-II სს-ის ფასისის ატრიბუციის შესახებ. კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ფასისი წარმოადგენს: 1) დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოს [გამყრელიძე, 1985:95-96]; 2) დაშლილი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ ხელისუფალს დაქვემდებარებულ ქალაქს [დუნდუა თ., 1993:23]; 3) სავაჭრო პოლისს, რომელიც მანამდე სამიწათმოქმედო პოლისი იყო. ლაზური ტრანსგრესიის შედეგად კი დაკარგა ხორა და პროფილის შეცვლა მოუწია – მიწათმოქმედებიდან ვაჭრობაზე [Tsetskhladze, 1998:55-57].

დვ.წ. II ს-ის ბოლოსა და I ს-ის პირველ ნახევარში მთელი კოლხეთი მითრიდატე პონტოელის გამგებლობაშია. მითრიდატეს დამარცხების შემდეგ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თანდათანობით რომი იკიდებს ფეხს. ამ პერიოდის ფასისის შესახებ ცნობები არ გაგვარჩნია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

11. გრიგოლეთი (რუკა I). (სუფსის ტერმინალის ტერიტორია) – ნამოსახლარი, დვ.წ. IV-II სს., სამაროვანი (ორმოსამარხები), 6 სამარხი, დვ.წ. VI-IV სს. [პაპუაშვილი და სხვ., 2007:43; სადრაძე და სხვ., 1999:104-119; სადრაძე და სხვ., 2001:7-19; სადრაძე და სხვ., 2003:95-114]. ჩვენი აზრით, ნამოსახლარის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი დვ.წ. III ს-ს არ უნდა სცდებოდეს, ვინაიდან დვ.წ. II ს-ის მასალა მოპოვებული არ არის.

12. ქ. ფოთი (რუკა I, II). ადგილ „ნატეხებში“ (პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს) – ნამოსახლარი, დვ.წ. IV-II სს. [Гамкრელიძე, 1991:77-78]

სობის მუნიციპალიტეტი

13. საქორქიო „სიმაგრე“ (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-V სს. [მიქელაძე, 1962:48-50; მიქელაძე, 1963:50-52; მიქელაძე, 1964:26; მიქელაძე, 1966:21-23; მიქელაძე, 1978:43-72; მიქელაძე და სხვ., 1972:28-29; მიქელაძე და სხვ., 1973:55; მიქელაძე და სხვ., 1974:38; Микеладзе и др. 1976:40 – 41; Микеладзе и др. 1979:106-108].

13. „სიმაგრეს“ ნამოსახლარის გარშემო (რუკა I). ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი [მიქელაძე, 1978:73-75].

13. საქორქიო, სიმაგრეს ნამოსახლარის გარშემო, თხრილი № 26, (რუკა I). სიმაგრის ნამოსახლარიდან სამხრეთით 1 კმ-ის დაშორებით – ნამოსახლარი, ძვ.წ. III-II სს. [მიქელაძე, 1978:36-37]. ისევე როგორც წინამორბედ შემთხვევაში, ამ ნამოსახლარის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. III ს-ს არ უნდა სცდებოდეს [ახვლედიანი, 2004].

13. საქორქიო, სიმაგრეს ნამოსახლარის გარშემო, თხრილი № 33, (რუკა I). „სიმაგრის“ ბორცვის ჩრდილოეთით, 60 მეტრის დაშორებით – ნამოსახლარი. ძვ.წ. V-IV სს. [მიქელაძე და სხვ., 1974:36-37].

13. საქორქიო, სიმაგრეს ნამოსახლარის გარშემო, თხრილი № 37 (რუკა I). 40 მ-ით ჩრდილო-დასავლეთით (თხრილი № 33-დან 60 მ-ის დასავლეთით) – ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [მიქელაძე და სხვ., 1974:37-38].

13. საქორქიო, სიმაგრეს ნამოსახლარის გარშემო, თხრილი № 38 (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრის შემდგომი პერიოდი [Микеладзе и др., 1976:40; Микеладзе и др. 1979:106].

13. საქორქიო, სიმაგრეს ნამოსახლარის გარშემო, თხრილი № 39 (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. V ს. [Микеладзе и др., 1976:40].

13. საქორქიო, სიმაგრეს ნამოსახლარის გარშემო, თხრილი № 40 (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრის შემდგომი პერიოდი [Микеладзе и др., 1976:40; Микеладзе и др., 1979:106].

14. საბაჟოს უბანი (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი [მიქელაძე, 1978:75-76].

15. საქორქიო, „სატყეო უბანი“ (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. III-II სს. [Микеладзе и др., 1980:38-39]. დ. ახვლედიანის აზრით, ამ ნამოსახლარის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. III ს-ზე უფრო გვიანდელი არ უნდა იყოს [ახვლედიანი, 2004].

16. თხინას ტყე (რუკა I). ნამოსახლარი. გამთხრელებს იგი № 26 თხრილში აღმოჩენილი ნამოსახლარის სინქრონულად მიაჩნიათ [მიქელაძე, 1964:25-26; მიქელაძე, 1978:78].

17. **ნადართუ (რუკა I).** პალიასტომის ტბის მიდამოებში – ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-V სს. [პაპუაშვილი, 1987:51; პაპუაშვილი, და სხვ., 2007:48-49].

18. **ყულევი (რუკა I).** მდ. ცივას მარცხენა ნაპირი – ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-III სს-ის დასაწყისი [პაპუაშვილი, 2002:31-32].

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

19. **ცაიში (რუკა I).** სამაროვანი, ძვ.წ. I ათასწლეული [პაპუაშვილი, ესებუა, 2002:48-53].

20. **ერგეტა, „მამულიას დინა გუძუბა“ (რუკა I).** კულტურული ფენა, ძვ.წ. V-IV სს. [Микеладзе и др., 1986:15-17]; ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა [Микеладзе и др., 1987:40-41; Микеладзе и др., 1991:59-65; Микеладзе и др., 1995:39-43; Микеладзе и др., 1997:29].

20. **ერგეტა, „იზორიების დინა გუძუბა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. IV-III სს-მდე [პაპუაშვილი, 1987:51-53].

20. **ერგეტა, „ცვანეს დინა გუძუბა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. IV-III სს-მდე [პაპუაშვილი, 1987:51].

20. **ერგეტა, „დიდი ლეტა“ (რუკა I).** კულტურული ფენა, ძვ.წ. V-IV სს. [Микеладзе и др., 1986:15-17].

21. **ორული, „წურწუმიების დინა გუძუბა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. IV-III სს-მდე [პაპუაშვილი, 1987:51].

21. **ორული, „პერტიების დინა გუძუბა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. IV-III სს-მდე [პაპუაშვილი, 1987:51].

22. **ანაკლია, „დინა გუძუბა II“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [გოგაძე, 1982:37; მიქელაძე და სხვ., 1973:50-51; ჯიბლაძე და სხვ., 2007:116-118].

გალის მუნიციპალიტეტი

23. **შეშელეთი, „დინა გუძუბა“ (რუკაზე არ არის აღნიშნული).** ნამოსახლარი, ელინისტური ხანა [Барамидзе и др., 1982:67-68].

24. **ფიჩორი (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა [Барамидзе и др., 1985:41; Барамидзе и др., 1987:43].

24. **ფიჩორის „დინა გუძუბა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა [Барамидзе и др., 1984:29-30].

25. ნაკარგალი (რუკა I). ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა [Барамидзе и др., 1987:47].

26. აბაჟუ (რუკა I). ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა [Барамидзе и др., 1982:64-66; Барамидзе и др., 1987:46-47].

კოლხეთის ცენტრალური სანაპირო ზოლის შესწავლამ დაგვანახა, რომ ეს რეგიონიც ძვ.წ. V-III ს-ის დასაწყისში მაქსიმალურად დასახლებული ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მთავარი ეკონომიკური ცენტრი ფასისი, წერილობითი წყაროების მიხედვით, ძვ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან ფუნქციონირებას არ წყვეტს [ბერძნიშვილი, 1969], მის შემოგარენში მოსახლეობის ცხოვრების კვალი თითქმის არ შეინიშნება.

§ III. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი:

27. დიოსკურია (რუკა I, II, III, IV). (შესწავლის ისტორია და ლიტერატურა იხ. [Качарава, Квирквелия, 1991:86-89]).

ლოკალიზაცია. სადღეისოდ საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ქალაქი გაშენებული იყო სოხუმის ყურის ნაპირზე, მდ. ბესლეთის მიდამოებში (სოხუმის შემოგარენის ტოპოგრაფიული გეგმა იხ. ტაბ. I,2. რუკა შედგენილია ი. ვორონოვის მიერ [Воронов, 1991:рис. 1].).

პერიოდიზაცია. დიოსკურიის ისტორია სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს, თუმცა მათი აბსოლუტური თარიღები დადგენილი არ არის. ა. ბოლტუნოვა მიიჩნევს, რომ ქალაქი ბერძნების მიერ ძვ.წ. VI ს-ში დაარსდა; ძვ.წ. V-III სს-ში იგი თავისი განვითარების ზენიტს აღწევს, რისი გამონახულებაც ხორას ზრდა არის; ძვ.წ. III ს-ის ბოლოს, ან ძვ.წ. II ს-ის დასაწყისიდან იწყება კრიზისი, რომელიც ძვ.წ. I ს-შიც გრძელდება [Болтунова, 1979:264-268].

ი. ვორონოვის აზრით, დიოსკურია – ასევე ძვ.წ. VI ს-ში არსდება; აღმავლობას ძვ.წ. V-III სს-ში განიცდის; ხოლო კრიზისი ძვ.წ. II ს-ის შუა წლებიდან იწყება და ძვ.წ. I ს-ში გრძელდება [Воронов, 1979:276-277]. ძვ.წ. I ს-ში საქალაქო ცხოვრების დაქვეითებას აღნიშნავს ნ. მათიაშვილიც [მათიაშვილი, 2005:17].

ატრიბუცია. დიოსკურიის ატრიბუციის შესახებ სადღეისოდ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მას ბერძნულ ემპორიონად მიიჩნევს, რომელიც შედიოდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში და თავისი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია არ ჰქონდა და ამდენად, არ შეიძლება თავისი თვითმართველობა ჰქონოდა [ლორთქი-

ფანიძე თ., 1966:63-64; Квирквелия, 1979:320]; მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ იგი ბერძნულ სამიწათმოქმედო პოლისს წარმოადგენდა, ქალაქური ორგანიზაციით და ადგილობრივი მოსახლეობისათვის სავაჭრო ცენტრი იყო [Болтунова, 1979:259; Воронов, 1979; Лордкипანიძე Г., 1979:325]. მ. ინაძის აზრით, დიოსკურიის მოსახლეობა შერეული იყო – ბერძნული და ადგილობრივი, ამის გამო მას გარკვეული ტიპის ქალაქური ორგანიზაცია გააჩნდა, მაგრამ არ ფლობდა ხორას. ბერძნული მოსახლეობის საქმიანობას ვაჭრობა წარმოადგენდა. მათი ექსპანსია მიმართული იყო არა ქვეყნის შიგნით, არამედ ზღვისაკენ [Инадзе, 1979:289]. გ. გამყრელიძის ვარაუდით, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში დიოსკურია, ისევე როგორც ქობულეთ-ფიჭვნარი, ფასისი, გიენოსი, რომლებიც მანამდე კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოდ გარდაიქმნა [გამყრელიძე, 1985:95]. თ. ღუნდუას აზრით, თავდაპირველად კოლხეთის ტერიტორიაზე არსებობდა დამოუკიდებელი ბერძნული პოლისები (ფასისი მაინც). ეთნიკური თვალსაზრისით, ქალაქები შერეული ტიპისა იყო. ძვ.წ. IV ს-ში მთელი დასავლეთ საქართველო კოლხთა ეგიდის ქვეშ გადავიდა. მართალია, ის მალე დაიშალა და ძვ.წ. III-II სს-ში ბერძნული ქალაქები ადგილობრივმა ხელისუფლებმა დაიქვემდებარეს [ღუნდუა თ., 1993:23]. გ. ცეცხლაძის აზრით, კოლხეთის სანაპიროზე თავდაპირველად ბერძნული ახალშენები აგრარულ ქალაქ-სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. შემდეგ კი მათ პროფილი შეიცვალეს და საქმიანობის ძირითად სახეობად ადგილობრივ მოსახლეობასთან ვაჭრობა გაიხადეს [Tsetskhladze, 1998:54]. ამის მიზეზად მკვლევარს მიაჩნია ე.წ. ფანაგორიული რეგრესიის დროს, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის შუა წლებში დაიწყო და ძვ.წ. III-II სს-მდე გასტანა, კოლხეთის სანაპირო ზოლში მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობები. ძვ.წ. III-II სს-დან ლაზური ტრანსგრესია იწყება, რომლის დროსაც ზღვის სარკემ 4-5 კმ-ით აიწია, მოხდა პოლისის ხორას დაჭაობება, რამაც გამოიწვია ამ ცენტრების ეკონომიკის პროფილის შეცვლა მიწათმოქმედებიდან ვაჭრობით [Tsetskhladze, 1998:55-57].

ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი

28. მოქვი (რუკა I). დანგრეული სამარხი, ძვ.წ. IV-III სს. [Пхакадзе и др., 1981:87].

29. ათარა (რუკა I, II). სამაროვანი, ელინისტური ხანა. გამოქვეყნებულია ერთი სამარხი (კრემაციული) – ძვ.წ. III-II სს. [Квициния, 1972:469-470; Квициния, Шенкао, 1986:399; Квициния, 1989:77-81; Bill, 2003:150].

30. ახულ-აბაა (რუკა I, II). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-II სს-ის სამარხები: სამარხი – ორი ცხენის თავის ქალით – ძვ.წ. V ს-ის ბოლო – ძვ.წ. IV ს., ორი – ძვ.წ. IV ს-ის, ორიც – ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის, ერთი – ძვ.წ. III-II ს.ს [Воронов, 1979а:32-36; Воронов, 1991:225-234; Bill, 2003:221-222].

31. გიენოსი (რუკა I, II, III, IV). ნაქალაქარი, სამაროვანი (ლიტერატურა იხ. [Качарава, Квирквелия, 1991:76-78]), მდებარეობს ქ. ოჩამჩირის დასავლეთით, მდ. ჯიქუმურის შესართავთან.

სადღეისოდ, თითქმის ყველა მკვლევარი აიგივებს ოჩამჩირეში გამოვლენილ ნამოსახლარს ფსევდო სკილაქსთან მოხსენიებულ გიენოსთან. თუმცა გ. კვირკველია გამოთქვამს ეჭვს ამ დებულების სისწორეში [Kvirkvelia, 2003:1267-1296].

ი. ვორონოვი ძველი ქალაქის ისტორიას სამ ეტაპად ჰყოფს: I – ძვ.წ. VI ს-ის შუა წლები – ძვ.წ. V ს.; II – ძვ.წ. IV-I სს.; III – ახ.წ. II-VII სს. (თუმცა ამ უკანასკნელს იგი მკვეთრად არ გამოჰყოფს) [Воронов, 1976:42-55]. დ. კაჭარავა გიენოსის ისტორიას ასევე სამ ეტაპად ყოფს: I – ძვ.წ. VI-IV სს.; II – ძვ.წ. III-I სს.; III – გვიანანტიკური ხანა [Качарава, 1972].

თავისი განვითარების მწვერვალს გიენოსი, ი. ვორონოვის აზრით, ძვ.წ. IV-I სს-ში აღწევს – ქალაქის ფართობი 10-15 ჰა ხდება [Воронов, 1976:47]. დ. კაჭარავას მიაჩნია, რომ ქალაქი ძვ.წ. II-ახ.წ. II სს-ში კრიზისს განიცდის [Качарава, 1971:37].

მკვლევართა ერთ ნაწილს გიენოსი მიაჩნია ნავსადგურად, რომელიც სეზონური ვაჭრობისათვის იყო გამოსადეგი [Квирквелия, 1981:346; Соловьев, 1947:111], მეორე ნაწილი – მას ათენელთა სავაჭრო ფაქტორიად თვლის [Инадзе, 1968:124-125, 200; Качарава, 1972; Качарава, 1979:307], მესამე ნაწილს – მიღეთელთა სამიწათმოქმედო კოლონიად [Воронов, 1976:47].

32. ქ. ოჩამჩირე (რუკა I). სამი სამარხი, ცხენის თავის ქალიანი, ძვ.წ. V-IV სს. [Bill, 2003:209].

33. ბაღლანი (რუკა I, II). სამაროვანი, გამოქვეყნებულია ორი სამარხი. ერთი თარიღდება ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით, მეორე – ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრით [Пхакадзе и др., 1981:81-89; Барамидзе и др., 1982:64-68; Барамидзе и др., 1984:28-31; Kvirkvelia, 1995:75-82; Bill, 2003:149].

34. ტამიში (რუკა I). სამაროვანი, ძვ.წ. V-IV სს. [Бжания и др., 1990:11-12].

გულრიფშის მუნიციპალიტეტი

35. ფშაპი (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-V სს. [Бжания и др., 1990:19-23].

36. მდ. კელასურსა და მდ. მაჭარის წყალგამყოფი თხემის გასწვრივ (რუკა I). ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა [Воронов, 1969:58, № 162].

37. აგუძერა (რუკა I). ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა [Воронов, 1969:58, № 162].

38. ფაცხირი (რუკაზე აღნიშნული არ არის). ნამოსახლარი, აღმონინდა კერამიკა (ამფორების და სხვა ჭურჭლის ფრაგმენტები). მათ შორისაა შავლაკიანი ჭურჭლის ძირი [Воронов, 1969:58, № 176].

39. მაჭარა (რუკა I). ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა [Воронов, 1969:54-56].

40. მდ. კელასურის მარცხენა ნაპირი (რუკა I). სამარხები, ადრეანტიკური ხანა [Воронов, 1969:57-58, № 160].

41. წებელდა (რუკა I, II, III, IV). სამაროვანი, უადრესი სამარხები – ძვ.წ. III-I სს. კულტურული ფენა, ძვ.წ. ათასწლეულის შუა წლები – ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი [Воронов, Щенкао, 1987:524-525; Bill,2003:157].

სოხუმის მუნიციპალიტეტი

42. ახალსოფელი (რუკაზე აღნიშნული არ არის). ნამოსახლარი, ანტიკური ხანა [Воронов, 1969:57, № 149].

43. ქვემო ეშერა (ვერეშჩაგინის ბორცვი) (რუკა I, II). ნამოსახლარი, ადრეანტიკური და ელინისტური ხანა [Шамба Г., 1978:80-81]. ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთით 100-200 მ-ის დაცილებით აღმონინდა გზის მშენებლობით დანგრეული სამაროვანი, ინჰუმაციური და კრემაციული სამარხებით. პუბლიცირებულია ორი სამარხი: I – ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნას, II – ძვ.წ. III ს. უნდა ეკუთვნოდეს [Смирнов, 1980:38-45; Bill,2003:205-206].

ვერეშჩაგინის ბორცვზე აღმონინდა სამაროვანი. გამოქვეყნებულია ელინისტური ხანის ორი სამარხი – ძვ.წ. III ს. [Куптин, 1949:18-19, 21-41; Bill,2003:205-206].

44. ეშერა (რუკა I, II, III, IV). ნაქალაქარი (ლიტერატურა იხ. [Качарава, Квирквелия, 1991:88-89; Шамба Г., 1976:107-109; Шамба Г., 1978:80-81; Шамба Г., 1979:167-175; Шамба Г., Шамба С., 1979:509; Шамба Г., Шамба С., 1980:209-215]), მდებარეობს სოხუმის დასავლეთით 8-10 კმ-ის დაცილებით, მდ. გუმისტას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ეშერას ერთ-ერთ ბორცვზე. მისი ფართობი 4 ჰექტარს შეადგენს. ანტიკური ხანის ქალაქი ძვ.წ. VI ს-ის

შუა წლებიდან ძვ.წ. I ს-ის ჩათვლით არსებობდა [Шамра Г., 1980:8]. ი. ვორონოვის აზრით, ძველი ეშერის აღმავლობა ძვ.წ. V ს-ის შუა წლებიდან იწყება, ხოლო კულმინაციას თავის განვითარებაში ძვ.წ. IV ს-ის ბოლოსა და ძვ.წ. I ს-ში აღწევს [Воронов, 1972:117-118]. თავის მეორე სტატიაში ეშერის ნაქალაქარის ელინისტური ხანის ისტორიის განხილვისას სამ პერიოდს გამოჰყოფს: I. ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი. ამ პერიოდში ნამოსახლარი მაქსიმალურ საზღვრებს აღწევს; II. ძვ.წ. III ს-ის შუა წლები – ძვ.წ. II ს-ის შუა წლები. ამ პერიოდში ხდება ნამოსახლარის დაკნინება, ქალაქის ზედა ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის სამაროვნად გადაიქცა; III. ძვ.წ. II ს-ის ბოლო – ძვ.წ. I ს. ნაქალაქარის გარშემო შენდება თავდაცვითი სისტემა, ხოლო მატერიალური კულტურა მითრიდატე პონტოელის გარნიზონის ყოფას ასახავს [Воронов, 1985:460]. თ. თოდუას აზრით, ქალაქს ჯერ ბოსფორის მმართველი ფარნაკე ანგრევს, ხოლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელი [Тодуа, 1988:142-143].

45. გვანდრა (რუკა I, II). კერამიკული სახელოსნო, კერამიკული ქურები, ძვ.წ. III ს. [Воронов, 1977:162-165].

46. ოსტიუში (რუკა II, III, IV). ნამოსახლარი, ძვ.წ. II-I – ახ.წ. I-II სს. [Воронов, 1969:54-56].

47. იაშთხვა (რუკა I). ორი სამარხი, ძვ.წ. VI-IV სს. [კვიციანი, 1978:74-79; Bill, 2003:173].

48. აჩანდარა (რუკაზე არ არის აღნიშნული) (რკინიგზის პლატფორმასთან). ნამოსახლარი, ელინისტური ხანა (კრამიტის, ქვევრების, ამფორების ფრაგმენტები და თიხის საწაფები) [Шамра Г., 1978:81].

49. შიცკუბა (რუკა I). ნამოსახლარი. შემორჩენილია კერამიკის (ამფორები, კრამიტი) ფრაგმენტები, კერამიკული სახელოსნოს ნაშთები, ამფორის დამლეტი ΔΙΟΣΚΟΥ შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები [Воронов, 1969:50, № 85].

50. შუბარა (რუკა I). სამაროვანი, ნამოსახლარი, ძვ.წ. V-III სს. [Бжания и др., 1990:13-16].

51. მდ. ბესლეთის შესართავთან (რუკა I). სამარხი, ძვ.წ. V – ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი [Bill, 2003:222].

51. მდ. ბესლეთის აღმოსავლეთით 1 კმ-ის დაშორებით (რუკაზე არ არის აღნიშნული). ანტიკური ხანის ნამოსახლარი. გამოვლენილია შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები [Воронов, 1969:57, № 144].

52. ბაგრატის ციხე (რუკა I). ნამოსახლარი – ადრეანტიკური ხანა. გამოვლენილია შავლაკიანი კერამიკა [Воронов, 1969:57, № 145; Соловьев, 1947:122].

53. სოხუმი, ვოლოდარსკოე (მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირი) (რუკა II). სამარხი, ძვ.წ. III-II სს. [Воронов, 1969:57, № 146, 147].

53. სოხუმი (რკინიგზის სადგურის მახლობლად) (რუკაზე არ არის აღნიშნული). შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები [Воронов, 1969:52, № 114].

53. სოხუმი (დრამატული თეატრის ტერიტორია) (რუკა I, II, III, IV). კულტურული ფენა, ძვ.წ. V-I სს. [Трапш, 1969:221].

53. სოხუმი (სასტუმრო „რიწასთან“) (რუკა II). კულტურული ფენა, ძვ.წ. III-II სს. თიხის საწაფები, ამფორისკები, ამფორების ფრაგმენტები, მეგარული თასი, შავლაკიანი კერამიკა [Воронов, 1969:51, № 110; Соловьев, 1947:121; Трапш, 1969:221].

53. სოხუმი (1. ოქტომბრისა და კალინინის ქუჩებს შორის დადებულ საკოლექტორო თხრილში, სიგრძე 500 მ, ზღვის სანაპიროს პარალელურად; 2. ლენინის ქუჩაზე) (რუკა I, II). კულტურული ფენა, ძვ.წ. IV-III სს. [Шамба Г., и др., 1978:493].

53. სოხუმის ციხე (რუკა I, II). კულტურული ფენა, ძვ.წ. IV-III სს. [Воронов, 1969:50, № 93; Трапш, 1969:222].

54. მთა გუადიხუ (რუკა I, II). კულტურული ფენა, ძვ.წ. V-II სს.; გუადიხუს უმცროსი ჯგუფის სამაროვანი (58 სამარხი) ძვ.წ. V-III სს. [თრაფში, 1953:15-16; Воронов, 1969:53, № 119-120; Трапш, 1969:223, 242-268].

55. წითელი შუქურა (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი, ძვ.წ. V-I სს.; კერამიკული ქურა – ძვ.წ. III ს-ის ბოლო; წითელი შუქურის უმცროსი ჯგუფის სამაროვანი (39 სამარხი), ძვ.წ. V-II სს. [Воронов, 1969:50-51, № 94-98; Трапш, 1969:223-227, 268-284; Барамидзе и др., 1977:464-465; Барамидзе и др., 1979:77-82; Лордкипანიძე Г., 1978:46-52; Bill, 2003:198]. ამ სამაროვნის №№ 8, 38 და 39 სამარხებს ნ. გოგიბერიძე ძვ.წ. IV ს-ის ბოლოთი და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით ათარიღებს [Гогинერიძე, 2003:79].

56. სოხუმის მთა (რუკა I, II). ნამოსახლარი, ძვ.წ. V-II სს.; სამაროვანი, ორი სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. V ს-ით, სამი – ძვ.წ. V-IV სს-ით, ორი – ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით, ერთი – ძვ.წ. III ს-ით, ერთიც – ძვ.წ. III-II სს-ით [კალანდაძე აღ., 1954:27-35; Лордкиპანიძე Г., 1978].

გუდაუთის მუნიციპალიტეტი

57. ქ. გუდაუთა (რუკა I, II). სამარხი, ძვ.წ. V-II სს. [Воронов, 1969:45].

58. სოფ. ყულანურხვას მახლობლად (რუკა I, II). ნამოსახლარი, ძვ.წ. VII-II სს. ძირითადად გამოვლენილია კერამიკის ფრაგმენტები [Воронов, 1969:46], თუმცა გამოქვეყნებული მასალის მიხედვით ამ ძეგლის თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია.

59. სოფ. პრიმორსკი (რუკა I, II). ნამოსახლარი, ძვ.წ. V-II სს. [Воронов, 1969:46].

60. ანაკოფია (რუკა I, II). კულტურული ფენა, ძვ.წ. IV-II სს., რომელიც შეიცავს კერამიკის ფრაგმენტებს [Воронов, 1969:48]. ი. ვორონოვის ნაშრომში ამ ძეგლის შესახებ დამოწმებული აქვს ლ. სოლოვიოვის ნაშრომი [Соловьев, 1947:99-148], თუმცა ამ უკანასკნელს მითითებულ გვერდებზე არავითარი მონაცემი არ გააჩნია [Соловьев, 1947:133-136, 138, 144].

გაგრის მუნიციპალიტეტი

61. ბარანოვკა 3, მდ. ლაფსტას მარცხენა ნაპირი (რუკაზე არ არის აღნიშნული). ნამოსახლარი, გამოვლენილია მხოლოდ კერამიკის ფრაგმენტები: იმპორტული – შავლაკიანი, ადგილობრივი – ამფორები, ქვევრები, ჯამები [Воронов, 1969:43, № 2].

62. მდ. ლაფსტას მარცხენა ნაპირი, ზღვიდან 2,5-3 კმ-ის დაცილებით (რუკა I, II, III, IV). სამაროვანი, ძვ.წ. IV – ახ.წ. V სს., ინჰუმაციური სამარხები [Воронов, 1969:43].

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარის ძეგლების განხილვის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აქ ძვ.წ. V-II სს-ში ცხოვრება შედარებით სტაბილურად მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ეს სოხუმის გარშემო არსებულ ძეგლებს შეეხება. აღმავლობის პიკს ეს რეგიონი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და III ს-ის პირველ ნახევარში აღწევს (უცხოური მონეტების შემოსვლა, ადგილობრივი ამფორების წარმოების დაწყება და სხვა). ძვ.წ. III-II სს-ში ცხოვრების დონე ქვეითდება – ზოგიერთ ნამოსახლარზე ცხოვრება საერთოდ წყდება, მცირდება უცხოური ნაწარმის – მონეტების, კერამიკული ტარისა და სუფრის ჭურჭლის შემოსვლა.

§ IV. ცენტრალური კოლხეთი, მდ. რიონის სამხრეთით:

63. ვანის ნაქალაქარი (რუკა I, II, III). [ახვლედიანი, 1997:7-8; ახვლედიანი და სხვ., 2010:33-45; გამრეკელი, 1972:252-254; გამრეკელი, 1979:38-40; გიგოლაშვილი და სხვ., 1979:41-114; თაყაიშვილი, 1907:1-12, 19-21, 23, 40; თოლორდავა, 1986:79-92; კაჭარავა და სხვ., 1979:7-37; კაჭარავა, მუავანაძე, 1986:9-33; ლორთქიფანიძე გ., 1962:42-46; ლორთქიფანიძე გ., 1972:135-146; ლორთქიფანიძე ოთ., 1962:38-41; ლორთქიფანიძე ოთ., 1971:175-177; ლორთქიფანიძე ოთ., 1972:7-80; ლორთქიფანიძე ოთ., 1977:13-27; ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე, 1969:20; ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე, 1969ა:24-26; ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე, 1970:27; ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე, 1970ა:33-40; ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1971:61-68;

ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე, 1972:96-110; ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურ-
რიძე, 1972ა:186-197; ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1972ბ:198-242; ლორთ-
ქიფანიძე ოთ. და სხვ., 1972გ:33-34; ლორთქიფანიძე ოთ., და სხვ., 1973:65-
69; ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1976:7-31; მიქელაძე, ლორთქიფანიძე,
1961:43-45; ფირცხალავა, ყიფიანი, 1986:52-78; ფუთურიძე, 1962:36-38; ფუ-
თურიძე, 1986:34-51; ფუთურიძე და სხვ., 1972:111-134; ღამბაშიძე გ., 1963:21;
ციციშვილი, 1972:243-251; ჭყონია, 1986:93-115; ხომტარია, 1949:297-308;
ხომტარია, 1965:7-9; ხომტარია, 1972:81-95; ხომტარია და სხვ., 1967:54-
61; ხომტარია და სხვ., 1967ა:9-13; ხომტარია და სხვ., 1968:27-31; ხომტა-
რია და სხვ., 1972:111-134; ხომტარია და სხვ., 1972ა:147-174; ხომტარია
და სხვ., 1972ბ:175-185; Бурчак-Абрамович, 1972:255-257; Лордкипанидзе
О., 1970:50-52; Лордкипанидзе О., 1971:28-31; Лордкипанидзе О., 1972:5-17;
Лордкипанидзе О., 1976:487-488; Лордкипанидзе О., 1977:476; Лордкипанидзе
О., 1978:484-485; Лордкипанидзе О., 1980:409-410; Лордкипанидзе О.,
1981:403-404; Лордкипанидзе О., 1981а:467-481; Лордкипанидзе О., 1983:411-
412; Лордкипанидзе О., 1986:401; Лордкипанидзе О., Путуридзе Р., 1968:302-
303; Лордкипанидзе О., Путуридзе Р., 1970:363-364; Лордкипанидзе О.,
Путуридзе Р., 1971:381-382; Лордкипанидзе О., Путуридзе Р., 1972:467-468;
Лордкипанидзе О., Путуридзе Р., 1973:425-426; Лордкипанидзе О. и др.,
1974:35-41; Лордкипанидзе О. и др., 1976:41-46; Лордкипанидзе О. и др.,
1977:39-48; Лордкипанидзе О. и др., 1978:64-75; Лордкипанидзе О. и др.,
1979:137-149; Лордкипанидзе О. и др., 1979а:500-501; Лордкипанидзе О. и
др., 1980:142-154; Лордкипанидзе О. и др., 1981:111-119; Лордкипанидзе О.
и др., 1982:80-86; Лордкипанидзе О. и др., 1982а:40-44; Лордкипанидзе О. и
др., 1984:50-53; Лордкипанидзе О. и др., 1985:46-49, 51-55; Лордкипанидзе О.
и др., 1986:37-40; Лордкипанидзе О. и др., 1987:51-55; Лордкипанидзе О. и
др., 1991:70-74; Лордкипанидзе О. и др., 1995:93-100; Отчеты... 1897:67, 188-
189; Отчеты... 1998:109-110, 226-227; Хоштария, 1953:12-13, 28-29; Хоштария,
1959:149-162; Хоштария, 1959а:22-23; Хоштария, 1961:39-42; Хоштария,
1962:64-80; Хоштария, 1979:115-134; Kacharava, Kvirvelia, 2008; Lordkipanidze
О., 1970:100-110; Lordkipanidze О., 1971:177-183; Lordkipanidze О., 1972:87-95]
ვანის ნაქალაქარი თანამედროვე ადმინისტრაციული ცენტრის ქ. ვანის
დასავლეთ გარეუბანში, მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორის
მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ნაქალაქარი „ახვლედიანების გორის“ სამ
ტერასაზეა განლაგებული.

იდენტიფიკაცია. ვანის ნაქალაქარის იდენტიფიკაციის შესახებ
სამი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწი-
ლი მას კლავდიოს პტოლემეაიოსთან და პლინიუსთან მოხსენიებულ სუ-
რიუმთან [Хоштария, 1960:47-50; Воронов, 1985:459-468; Каухчишвили,

1988:254-256], მეორე ნაწილი სტრაბონისეულ ლევკოთეასთან აიგივებს [Лордкипанидзе О., 1972ა:106-125]. გ. ყიფიანის აზრით კი, ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილ, ბრინჯაოს დაფაზე შესრულებულ წარწერაში ნახსენები ტაძისი უნდა იყოს [ყიფიანი, 2014:65].

პერიოდიზაცია. სადღეისოდ ძველი ვანის ისტორია ოთხ ფაზად იყოფა: I – ძვ.წ. VIII-VII სს.; II – ძვ.წ. VII ს-ის ბოლო – ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებამდე; III – ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი; IV – ძვ.წ. III ს-ის შუა ხანიდან – ძვ.წ. I ს-ის შუა ხანამდე (ამასთან გამოიყოფა ცალკეული ეტაპებიც).

ძველი ქალაქის საბოლოო ნგრევას, სხვადასხვა მკვლევარები, სხვადასხვა ისტორიულ პირებსა და თარიღებს უკავშირებენ:

გ. ლორთქიფანიძე – პომპეუსს [Лордкипанидзе Г., 1970:32]; ოთ. ლორთქიფანიძე თავის პირველ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ძველი ვანი თავისი ისტორიის ბოლო პერიოდში ორჯერ ინგრევა: პირველად მას ანგრევს ბოსფორის მმართველი ფარნაკე, ხოლო მეორედ – ძვ.წ. 47 წელს მითრიდატე პერგამონელი [Лордкипанидзе О., 1972ა:106-125]. გ. დუნდუა და გ. ლორთქიფანიძე ერთობლივ ნაშრომში გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ძველი ვანი ძვ.წ. I ს-ის 80-იან წლებში მითრიდატე პონტოელის მიერ ინგრევა, როდესაც მისი გამდგარი ვაჟი მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფი იგდო ხელთ [Дундуа, Лордкипанидзе Г., 1983:19]. თ. თოდუას აზრით, ძველი ვანი თავისი ისტორიის ბოლო პერიოდში სამჯერ ინგრევა: პირველად იგი მითრიდატე პონტოელმა დაანგრია ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნაზე, მეორედ – მისმა ვაჟმა ფარნაკემ ძვ.წ. 49 წელს, მესამედ – მითრიდატე პერგამონელმა ძვ.წ. 47 წელს [Тодуа, 1988:142-143]. გ. გამყრელიძე ქალაქის პირველ ნგრევას მითრიდატე პონტოელს უკავშირებს ძვ.წ. I ს-ის 60-იან წლებში, მეორეს – პომპეუსს [გამყრელიძე, 1989:67].

ცალკეული აღმოჩენები მოწმობს, რომ ცხოვრება ბორცვზე გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა, თუმცა არა ისე ინტენსიურად, როგორც ძვ.წ. I ათასწლეულში [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996:5].

ატრიბუცია. ძველი ვანის ატრიბუციას, მისი მთელი ისტორიის განმავლობაში, ოთხი მკვლევარი შეეხო:

გ. ლორთქიფანიძის აზრით, ვანის ნაქალაქარი მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი სკეპტუნიის ცენტრს წარმოადგენს [Лордкипанидзе Г., 1978:61], ხოლო ძვ.წ. II ს-ის ბოლოდან – მითრიდატე VI-ის დასაყრდენ პუნქტს, რომელსაც პომპეუსის ლაშქრობამდე, სავარაუდოდ, კოლხი სკეპტუნი ოლთაკე მართავდა [Лордкипанидзе Г., 1970:28].

მ. ინაძის აზრით, ძვ.წ. VIII-VII სს-ის ვანში სატაძრო ცენტრი ყალიბდება; ძვ.წ. V ს-ში იგი იღებს ჩამოყალიბებულ სახეს ქურუმთა ინსტიტუტითა და საკრალური რიტუალების სახით [ინაძე, 1986:33-35].

ოთ. ლორთქიფანიძე კი მიიჩნევს, რომ ვანი ძვ.წ. VIII-VII სს-ში (I ფაზა) მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრად დაწინაურებული [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996:7]. შემდეგ ეტაპზე – ძვ.წ. VI ს-ის ბოლო-ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში (II ფაზა) კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის პოლიტიკური ცენტრი ხდება [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996:20]. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა-ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში (III ფაზა) შესაძლებელია, რომ ვანის მხარემ გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწია [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996:24-25]. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან – ძვ.წ. I ს-ის შუა წლებამდე (IV ფაზა) ძველი ვანი ფუნქციური თვალსაზრისით იცვლება. იგი ქალაქ-სამლოცველოდ, სატაძრო ქალაქად იქცევა [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996:25; Лордкиपанидзе О., 1972а:106-125].

გ. ყიფიანის აზრით, ძველი ვანი წარმოადგენდა საკულტო-ცერემონიალურ არეს და მიძღვნილი იყო ადგილობრივ დინასტთა კულტისადმი. იგი „მკვდარი ქალაქი“, ანუ ტაძარი იყო [ყიფიანი, 2014:65].

დანარჩენი მკვლევარები ქალაქის ისტორიის მხოლოდ ცალკეული ეტაპების ატრიბუციას ახდენენ:

გ. კვიციანიას აზრით, ძვ.წ. V-IV სს-ში ვანი ცენტრ-გადამანაწილებელს წარმოადგენს [Квириквелия, 1990].

ი. ვორონოვის აზრით, ძვ.წ. III ს-დან ძველი ვანი წარმოადგენს ელინისტური „სტრუქტურის“ აკროპოლისს, რომლის შექმნაში დიდი როლი მცირეაზიელმა ბერძნებმა ითამაშეს, რომლებმაც ადრეელინისტურ ხანაში კოლხეთის შიდა რაიონების კოლონიზაცია მოახდინეს [Воронов, 1985:264-265].

გ. დუნდუას და გ. ლორთქიფანიძის ერთობლივ მონოგრაფიაში [Дундуа, Лордкипанидзе Г., 1983:14], ასევე ვ. ტოლსტიკოვისა [Толстиков, 1985:352-365] და თ. თოდუას [Тодуа, 1988:142-143] ნაშრომებში გაზიარებულია გ. ლორთქიფანიძის ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მითრიდატე პონტოელის მიერ კოლხეთის ოკუპაციის პერიოდში, ძველი ვანი პონტოელთა გარნიზონის სადგომი იყო.

გ. დუნდუა თავის მონოგრაფიაში, ძვ.წ. I ს-ის ძველი ვანის ატრიბუციას კიდევ უფრო აზუსტებს: ძვ.წ. II საუკუნის ბოლოდან ძვ.წ. 85 ან 83 წლამდე ვანი პონტოს მეფისნაცვლის რეზიდენციას წარმოადგენდა; ძვ.წ. 85-83 წლებში, ან ძვ.წ. 83-80 წლებში ვანი მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფის საგამგებლოს სატახტო ქალაქად გარდაიქმნა; ხოლო შემ-

დეგ – ძვ.წ. 65 წლამდე, როგორც ჩანს, ის ისევ მეფისნაცვლის რეზიდენ-
ციად იქცა [Дундуа, 1987:127].

გ. გამყრელიძის მოსაზრებით, ძვ.წ. I ს-ში ვანი (სურისი) იბერიის სა-
მეფოს გავლენის ქვეშ მოექცა [გამყრელიძე, 1989:66].

ვანის სამარხები:

სამარხი № 1, ძვ.წ. III ს. [ხოშტარია, 1972:81-95], სადღეისოდ აქ გა-
მოვლენილი რკინის ფიგურა და მისი თანმხლები ინვენტარი, სამარხად
არ შეიძლება მივიჩნიოთ.

სამარხი № 2, ნ. ხოშტარია ამ სამარხს ძვ.წ. III ს-ით ათარილებს [ხოშ-
ტარია, 1972:89-90], ნ. გოგიბერიძე კი ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით
[Гогинеридзе, 2003:57].

სამარხი № 3, ძვ.წ. III ს. [ხოშტარია, 1972:81-95].

სამარხი № 4, ნ. ხოშტარია ამ სამარხს თავის ერთ ნაშრომში ძვ.წ.
III ს-ით ათარილებს [Хоштария, 1962:67], მეორე ნაშრომში ძვ.წ. IV ს-ის
დასასრულით [ხოშტარია, 1972:89-90].

სამარხი № 6, რ. ფუთურიძე, ნ. ხოშტარია და ან. ჭყონია ამ სამარხს
ძვ.წ. V ს-ით ათარილებენ [ფუთურიძე და სხვ., 1972:113], ოთ. ლორთ-
ქიფანიძე კი ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით [ლორთქიფანიძე ოთ.,
1977:17].

სამარხი № 7, გაძარცვული [ფუთურიძე და სხვ., 1972:119-120].

სამარხი № 8, ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრი [ფუთურიძე და სხვ.,
1972:120].

სამარხი № 9, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორადავა
და ან. ჭყონია ამ სამარხს ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით ათარილებენ
[ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1972ბ:203], ნ. გოგიბერიძე კი ძვ.წ. IV ს-ის
შუა წლებით [Гогинеридзе, 2003:48]. როგორც ზემოთ, აქაც ჩვენ ამ უკა-
ნასკნელის აზრს ვიზიარებთ.

სამარხი № 10, ძვ.წ. IV ს-ის მიწურული [თოლორადავა, 1986:92].

სამარხი № 11, ძვ.წ. V ს-ის შუა წლები [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ.,
1972ბ:239].

სამარხი № 12, დ. კაჭარავა, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე
და გ. ყიფიანი ამ სამარხს ძვ.წ. III ს-ით ათარილებენ [კაჭარავა და სხვ.,
1979:27], ნ. გოგიბერიძე კი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით [Гогинеридзе,
2003:79]. ად. ბილს აღნიშნული აქვს, რომ ოქროს ყელსაბამი და ჰიერონ
II-ის მონეტა ამ სამარხშია აღმოჩენილი [Bill, 2003:236], რაც სინამდვი-

ლეს არ შეეფერება. ეს ნივთები მხოლოდ სამარხის მახლობლადაა გამოვლენილი [კაჭარავა და სხვ., 1979:27].

სამარხი № 13, ძვ.წ. III ს. [კაჭარავა და სხვ., 1979:27].

სამარხი № 14, ძვ.წ. III ს. [კაჭარავა და სხვ., 1979:27].

სამარხი № 15, ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი [თოლორდავა, 1986:84].

სამარხი № 16, დ. კაჭარავა და ზ. მუავანაძე ამ სამარხს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით ათარიღებენ [კაჭარავა, მუავანაძე, 1986:25], ნ. გოგიბერიძე კი ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებით [Гогинеридзе, 2003:79].

სამარხი № 17, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი [კაჭარავა, მუავანაძე, 1986:26].

სამარხი № 18, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Лордкипანიძე О., 1990:328].

სამარხი № 19, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 20, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 21, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 22, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 23, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 24, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 25, ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 26, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 27, ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

სამარხი № 28, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [Kacharava, Kvirkvelia, 2008:68].

ვანის ნაქალაქარის შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია მოცემულია – ვანი IX. არქეოლოგიური გათხრები (ანალიტიკური ბიბლიოგრაფია: 1850-1995), თბ., 1996.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

64. გურიანთა (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-I სს. [ვაშაკიძე, 1971:5-27].

65. გოგორეთი (რუკა I, II). ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკა. ერთი ქვევრსამარხი [ვაშაკიძე, 1971:12].

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

66. ზემო ფარცხმა, ე.წ. „ვარდნაულის გორის“ სამხრეთ ფერდობზე (რუკა I, II). სამაროვანი, გამოვლენილია 35 ქვევრსამარხი: ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი – 22 ქვევრსამარხი (№№ 10, 12, 14-15, 17-18, 20-35); ძვ.წ. III ს-ის შუა წლები – 1 ქვევრსამარხი (№ 16); ძვ.წ. III ს-ის ბოლო – ძვ.წ. II ს. – 8 ქვევრსამარხი (№ 1-4, 6-9). დანარჩენი სამარხები უინვენტარობის გამო არ თარიღდება [ვაშაკიძე, 1972:25-26; ვაშაკიძე, 1973:84-86; ვაშაკიძე, 1985:39, 103-106].

67. წიფნარი (რუკა I). ქვევრსამარხი, ძვ.წ. IV-III სს. [ვაშაკიძე, 1973:74-78; ვაშაკიძე, 1996:85-89].

68. ბუკისციხე (რუკა II, III, IV). სამაროვანი. ერთი ქვევრსამარხი, ძვ.წ. III ს. [თოლორდავა, 1980:27]. ექვსი ქვევრსამარხი და ოთხი დერგ-სამარხი – ძვ.წ. II-I სს. [სადრაძე და სხვ., 1997:15-23].

69. ზენობანი (რუკა II). ქვევრსამარხი, ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი [ვაშაკიძე, 1973:79-80; ვაშაკიძე, 1996:89-90].

70. ქვემოხეთი (რუკა II). ქვევრსამარხი, ძვ.წ. III ს-ის მიწურული – ძვ.წ. II ს. [ვაშაკიძე, 1973:82-84; ვაშაკიძე, 1996:92-94].

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

71. ჩიბათი (რუკა II). ქვევრსამარხი, ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა [ვაშაკიძე, 1973:78-79; ვაშაკიძე, 1996:87-88]. ვ. თოლორდავა ამ ქვევრსამარხს ძვ.წ. III-II სს-ით ათარიღებს [თოლორდავა, 1980:29].

სენაკის მუნიციპალიტეტი (მდ. რიონის სამხრეთით)

72. საგვიჩიო (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-V სს. [გრიგოლია და სხვ., 1973:33-36].

73. „პატარა კონძა“ (რუკაზე აღნიშნული არ არის). ნამოსახლარი, ელინისტური ხანა [გრიგოლია და სხვ., 1967:19-20].

აბაშის მუნიციპალიტეტი (მდ. რიონის სამხრეთით)

74. გულეიკარი (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [პაპუაშვილი, 1999:99-103; პაპუაშვილი და სხვ., 2006:59-60].

75. ნამარნუ (რუკა I). ნამოსახლარი, ანტიკური ხანის ორი – II და III ფენა. II ფენა – ძვ.წ. IV-III სს.; III ფენა – ძვ.წ. V ს. [პაპუაშვილი, 1987:52; პაპუაშვილი და სხვ., 2001:107-118; პაპუაშვილი და სხვ., 2006:46-55; Микеладзе и др., 1984:22-25; Микеладзе и др., 1987:39-40; Микеладзе и др., 1991:59-60; Микеладзе и др., 1997:27-30].

იდენტიფიკაცია. გ. გრიგოლია გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნამარნუ შეიძლება იქნას გაიგივებული ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“ მოხსენებულ „ბარბაროსების დიდ ქალაქთან“ [გრიგოლია, 1973ა:17].

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

76. დაფნარი (რუკა I, II). ნამოსახლარი, სამაროვანი [ლიტ.: კილურაძე, 1969:21; კილურაძე, 1971:347-369; კილურაძე, 1971ა:68-72; კილურაძე, 1971ბ:57-61; კილურაძე, 1973:25-27; ლორთქიფანიძე გ. და სხვ., 1972:35-36; Кигურაძე, 1971:184; Кигურაძე, 1976:40-41; Кигურაძე, Лордкиპანიძე Г., 1971:380-381; Кигურაძე, Лордкиპანიძე Г., 1972:469; Кигურაძე, Лордкиპანიძე Г., 1977:55-64]. ნამოსახლარი ზოგადად ძვ.წ. VI-III სს-ით თარიღდება [Кигურაძე, Лордкиპანიძე Г., 1971; Кигურაძე, Лордкиპანიძე Г., 1972:469; Кигურაძე, Лордкиპანიძე Г., 1977:55-64]. აქვე გამოვლენილია სამაროვანი, რომელიც ქვევრსამარხებისაგან შედგება: ძვ.წ. IV ს. – 8 ქვევრსამარხი (№ I, VII-VIII, XIII, XV, XVII, XXXI, XXXIII); ძვ.წ. IV-III სს. – 10 ქვევრსამარხი (№ III, VI, X, XX, XXII, XXVI-XXVIII, XXXIV-XXXV); ძვ.წ. III ს. – 9 ქვევრსამარხი (№ II, IV-V, IX, XI, XIX, XXI, XXIII-XXIV); ძვ.წ. III-II სს. – 2 ქვევრსამარხი (№ XXII, XXVII) [Кигურაძე, 1976:40-41].

გ. თოლორდავა მიიჩნევს, რომ დაფნარში ქვევრსამარხები ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნიდან ჩნდება და ძვ.წ. II ს-შიც განაგრძობენ არსებობას [თოლორდავა, 1980:82].

77. დაბლაგომი (რუკა I, II). ნამოსახლარი, სამაროვანი [ლიტ.: თოლორდავა, 1972:34-35; თოლორდავა, 1973:23-25; თოლორდავა, 1973ა:69-73; თოლორდავა, 1976:48-67; თოლორდავა, 1976ა:68-78; თოლორდავა, 1977:71-80; თოლორდავა, 1980; მაკალათია, 1941:84-86; Толордава,

1971:183-184; Толордава, 1977:48-54]. ნამოსახლარი, ზოგადად ძვ.წ. VI-III სს-ით თარიღდება (ამ ტერიტორიაზე უფრო ადრინდელი მასალაც არის ფიქსირებული) და ნასოფლარს წარმოადგენს. აქვე გამოვლენილია სამაროვანი, რომელიც ქვევრსამარხებისაგან შედგება: ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი – 7 ქვევრსამარხი (დგ. I – № 1, 25-27; დგ. II – № 1, 8, 15); ძვ.წ. III ს. – 5 ქვევრსამარხი (დგ. I – № 4, 18-19; დგ. II – № 3-4); ძვ.წ. III ს-ის მიწურული – 3 ქვევრსამარხი (დგ. I – № 7, 21; დგ. II – № 12); ძვ.წ. III-II სს-ის მიჯნა ან ძვ.წ. II ს. – 1 ქვევრსამარხი (დგ. II – № 12). დანარჩენი ქვევრსამარხების დათარიღება შეუძლებელია [თოლორდავა, 1980:14]. აქვე გამოვლენილია სინოპური კრამიტით გადახურული სამარხი, რომელიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [თოლორდავა, 1976ა:76].

ვანის მუნიციპალიტეტი

78. მთისძირი (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი. აქ აღმოჩენილი ძეგლები ზოგადად თარიღდება ძვ.წ. VII – ახ.წ. VIII სს-ით. ძვ.წ. VII-I სს-ში ნამოსახლარი წარმოადგენს ნასოფლარს, ახ.წ. I-VIII სს-ში პატარა ციხე-ქალაქს [გამყრელიძე, 1977:74-78, გამყრელიძე, 1977ა:58-70].

ძველი მთისძირის ისტორია იყოფა ოთხ ფაზად: 1) ძვ.წ. VII-VI სს.; 2) ძვ.წ. V-ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი; 3) ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი-ძვ.წ. I ს.; 4) ახ.წ. I-VIII სს.

ძვ.წ. VII-VI სს-ში ნამოსახლარი ვრცელდებოდა „ადეიშვილების გორაზე.“ აქ აღმოჩენილია კერამიკული და ლითონგადასამუშავებელი სახელოსნოები.

ძვ.წ. V-ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარში ნამოსახლარი ვრცელდება „ადეიშვილების გორაზე“, „გეფერიძეების გორაზე“, „მთისძირის გორაზე“, „ნაბამბევის გორის“ აღმოსავლეთ ფერდობზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. ამავე პერიოდს მიეკუთვნება „ნაბამბევის გორაზე“ შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი.

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. I ს-ის ცხოვრების ამსახველი არქეოლოგიური მასალა ძირითადად აღმოჩენილია „ადეიშვილების გორაზე“, „მთისძირის გორაზე“, „ნიკურაძეების უბანსა“ და „გეფერიძეების ნასახლარზე“. „გეფერიძეების ნასახლარზე“ აღმოჩენილი ქვევრსამარხები, თითქმის სრულად განადგურებულია, ხოლო „ნიკურაძეების უბანზე“ – ორია რამდენადმე სრულად შემონახული. მთისძირის ქვევრსამარხები ზოგადად ძვ.წ. III-II სს-ითაა დათარიღებული. ამ დროს ნამოსახლარზე შეიმჩნევა ცხოვრების რამდენადმე დაკნინება. თუ გა-

ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მთისძირში არ არის გამოვლენილი ძვ.წ. II-I სს-ით დათარიღებული მასალა, მაგ., როდოსული, კოსური, კნიდური და თეთრანგობიანი ამფორები, ასევე იმპორტული ელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკა და ადგილობრივი წითელი საღებავით მოხატული ჭურჭელი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ნამოსახლარი ან ძალიან დაკნინდა, ან საერთოდ შეწყვიტა ფუნქციონირება და მხოლოდ ახ.წ. დამდეგიდან აღდგა [გამყრელიძე, 1982; Хоштария, 1959].

79. საყანჩია (რუკა II). ნამოსახლარი, ზოგადად ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება. ვ. ლიჩელი გამოთვლით მისი მოსახლეობა 256-320 სული უნდა ყოფილი [ლიჩელი, 1991:88] და ძველი ვანის სამეურნეო უბანს წარმოადგენდა [ლიჩელი, 1977:52-57; ლიჩელი, 1991]. მის განადგურებას ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნაზე ვ. ლიჩელი მითრიდატე პონტოელის მიერ კოლხეთის ოკუპაციას უკავშირებს [ლიჩელი, 1991:89].

80. სულორი (რუკა I). ნამოსახლარი, ზოგადად ძვ.წ. VII-IV სს-ით თარიღდება. იგი წარმოადგენს ნასოფლარს [Инаури, 1990:276-279].

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

81. ვარდციხე, „გიორგობიანების გორა“ (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი, [ლომთათიძე, ჯაფარიძე, 1972:61; მელითაური და სხვ., 1973:89-90; ჯაფარიძე, 1989:132]. ადრეანტიკური და ელინისტური ხანა (წყვეტს არსებობას ელინისტური ხანის მიწურულს).

82. წითელხევი (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IVსს. [ლომთაძე, 2010:110-116]. შესაძლებელია ასევე ყოფილიყო ელინისტური ხანის დაზიანებული სამარხი [ლორთქიფანიძე ოთ., 1966:140-141].

83. ოფშკვითი (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [Личели, 1987:62].

84. ზედა დიმი (რუკა I, II, III, IV). კედლები და ქვევრსამარხები, ძვ.წ. II-I სს. [ჯაფარიძე, 1999:29].

85. ქვედა დიმი (რუკაზე აღნიშნული არ არის). ქვევრსამარხები [ჯაფარიძე, 1999:29].

მდ. რიონის სამხრეთით, ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლების შესწავლის შედეგად გარკვეული ტენდენცია შეინიშნება: ძვ.წ. V ს-დან III ს-ის დასაწყისამდე რეგიონი საკმაოდ კარგად ჩანს ათვისებული. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც ძველ ვანს გარს თავდაცვითი კედელი შემოერტყა, სასოფლო ტიპის სამოსახლოებზე შეინიშნება მოსახლეობის თანდათანობითი კლება (რაც

სამარხთა რაოდენობის შემცირებაში გამოიხატება). სამაგიეროდ, ვანის მახლობლად, იწყებს ფუნქციონირებას საყანჩია, რომელიც ძველი ვანის სამეურნეო უბნად არის მიჩნეული. ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნაზე იგი ნადგურდება, ხოლო ძვ.წ. I ს-ის შუა წლებში ძველი ვანიც წყვეტს არსებობას.

§ V. ცენტრალური კოლხეთი, მდ. რიონის ჩრდილოეთით:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

86. სოფ. ლია, პალურის უბანი (რუკა I). ნამოსახლარი, ადრეელის-ტური ხანა [გრიგოლია და სხვ., 1971:27-28]. სამაროვანი, ძვ.წ. VI-V სს. [აბრამიშვილი და სხვ., 1965:14-15; გრიგოლია და სხვ. 1971:28-29].

87. მაქსანიას გამოქვაბული (რუკაზე აღნიშნული არ არის). ნამოსახლარი, ელინისტური ხანა [აბრამიშვილი და სხვ., 1965:13-14].

სენაკის მუნიციპალიტეტი

88. ნოქალაქევი (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი, ანტიკური ხანა [ლომიტაშვილი, 2003]; ორმოსამარხები, ძვ.წ. IV ს. – ძვ.წ. III ს-ის შუახანები [გვინჩიძე, 2003:23-28]; ქვევრსამარხები ძვ.წ. III ს-ის შუახანები – ძვ.წ. II ს-ის ბოლო; ორმოსამარხები, ძვ.წ. II ს-ის ბოლო – ძვ.წ. I ს-ის ბოლო [გვინჩიძე, 2003:23-28].

89. ნანეფიშ ქალე (რუკა I, II, III, IV). ორმოსამარხი, ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – ძვ.წ. III ს-ის შუახანები, ქვევრსამარხი ძვ.წ. III ს-ის ბოლო – ძვ.წ. II ს-ის შუახანები [გვინჩიძე, 2003:24-25].

90. ბატნაოხორუ (რუკა I, II). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-III სს. [გრიგოლია და სხვ., 1967:19; გრიგოლია და სხვ., 1972:30; გრიგოლია და სხვ., 1973:31-33]; ქვევრსამარხები (2 ც.) [გრიგოლია და სხვ., 1967:19], გ. გვინჩიძის აზრით, ისინი ძვ.წ. III ს. – ძვ.წ. II ს-ის მიწურულით თარიღდებიან [გვინჩიძე, 2003:25-26]. გ. გრიგოლიას, გ. ფხაკაძის, მ. ბარამიძის და გ. ლორთქიფანიძის აზრით, ქვევრსამარხი № 1 თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [გრიგოლია და სხვ., 1973:31-33].

აბაშის მუნიციპალიტეტი

91. ოფაჩაფუ (რუკა II). ქვევრსამარხი (3 ც.), ძვ.წ. III ს-ის შუახანები – ძვ.წ. II ს. [გვინჩიძე, 2003:25].

92. კოდორე (რუკა II). ქვევრსამარხი, ძვ.წ. III ს-ის შუახანები – ძვ.წ. II ს. [გვინჩიძე, 2003:25].

მარტვილის მუნიციპალიტეტი

93. **ბანძა (რუკა II).** ქვევრსამარხი, ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი [გვინჩიძე, 2003:26].

94. **სერგიეთი, ნაფაცაფუ (რუკაზე აღნიშნული არ არის).** ნამოსახლარი, ანტიკური ხანა [გრიგოლია და სხვ., 1973:30].

95. **ლენხინდრაო, გოგიშ ნაოსორუ II (რუკაზე აღნიშნული არ არის).** ნამოსახლარი, ანტიკური ხანა [გრიგოლია და სხვ., 1973:36-37].

96. **მარტვილი, ტაძართან (რუკაზე აღნიშნული არ არის).** ნამოსახლარი, ანტიკური ხანა [გრიგოლია და სხვ., 1973:37].

ხონის მუნიციპალიტეტი

97. **მათხოჯი (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [Джапаридзе и др., 1995:110].

98. **ქ. ქუთაისი, „გაბაშვილების გორა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. V ს. [ლორთქიფანიძე ოთ., ლომოური, 1965:7-8].

98. **ქ. ქუთაისი, „დათეშიძეების გორა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-V სს. [ლორთქიფანიძე ოთ., 1963:5-8; ლორთქიფანიძე ოთ., 1964:28].

98. **ქ. ქუთაისი, „ფარნალის გორა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [ლორთქიფანიძე ოთ., 1965:45-47; ლორთქიფანიძე ოთ., ლომოური, 1965:7-8].

98. **ქ. ქუთაისი, „სარბევი გორა“ (რუკა I).** ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [Личели, 1987:61].

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

99. **ფარცხანაყანევი (რუკა II).** ქვევრსამარხები, ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი – გვიანელინისტური ხანა [მამულაძე, 1979:85-89; თოლორდავა, 1980:31-32].

100. **მუხიანი (რუკა II).** ქვევრსამარხები, გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა, 1980:32-33].

101. **უკანეთი (რუკა II).** ქვევრსამარხები, გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა, 1980:33].

102. **ჭოგნარი (რუკა I, II, III, IV).** ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-V სს. და ძვ.წ. III-I სს. [ლორთქიფანიძე ოთ., 1963:5-8; ლორთქიფანიძე ოთ., 1964:28-30; ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1966:20]. ქვევრსამარხები, გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა, 1980:33-34].

103. მალლაკი (რუკა III, IV). ქვევრსამარხები, გვიანელინისტური ხანა [თოლორდავა, 1980:34-35].

104. ბაში (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი, ადრეანტიკური და ელინისტური ხანა [Джапаридзе, 1985:49].

105. „ციხია“ (რუკაზე აღნიშნული არ არის). ნამოსახლარი, ანტიკური ხანა [Личели, 1987:61].

106. გეგუთი (რუკა II). ნამოსახლარი, ძვ.წ. III-II სს.; ორმოსამარხი, ძვ.წ. II ს. [Личели, 1987:62].

107. ქვემო ონჭეიში (რუკაზე აღნიშნული არ არის). ნამოსახლარი, ანტიკური ხანა [კალანდაძე კ., 2006:37-38].

108. პატრიკეთი (რუკა I). ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა [Джапаридзе и др., 1980:251-262].

ცაგერის მუნიციპალიტეტი

109. ცხეთა (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-V სს. [სახაროვა, 1963:34-35]. სამაროვანი (15 ორმოსამარხი), აქედან სამარხები № 6, 12-13 – ძვ.წ. II-I სს. [სახაროვა, 1963:35; სულავა, 1996:9-45].

110. მურის ციხის მიდამოები (რუკა I). ქვევრსამარხი, ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – ძვ.წ. III ს. [სულავა, 1996:58-60].

111. უსახელო (რუკა I, II, III, IV). შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, ძვ.წ. IV-ახ.წ. IV სს. [სულავა, 1996:83].

ამ რეგიონში, ძვ.წ. V-I სს-ში, ცხოვრება, მართალია, უწყვეტად მიმდინარეობს, მაგრამ ძვ.წ. I ს-ში ერთგვარი კრიზისი შეიმჩნევა.

§ VI. აღმოსავლეთ კოლხეთი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

112. ქ. ზესტაფონი (ფერო-შენადნობთა ქარხნის მიდამოები) (რუკა I). სამარხი, ძვ.წ. V ს. [ჯიქია, 1989:6-7].

113. მეორე სვირი, „ციხურა“ (რუკაზე აღნიშნული არ არის). ნამოსახლარი, ანტიკური ხანა [ჯაფარიძე და სხვ., 1999ა:82-98].

114. შორაპანი (რუკა I, II, III, IV). კულტურული ფენები: ძვ.წ. VI-IV სს. [ჯაფარიძე, 1999:12]; ელინისტური ხანა [ჯაფარიძე, 1999ა; ჯაფარიძე, 2006:20].

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

115. საზანო (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი, ანტიკური ხანა. ადრე-ელენისტური ხანის ნაგებობის ნაშთებზე გამართულია გვიანელენისტური ხანის ქვევრსამარხები [ჯაფარიძე, 1999:28 Джапаридзе, 1987:67-68].

116. ძვერი (რუკაზე აღნიშნული არ არის). ქვევრსამარხები [ჯაფარიძე, 1999:30].

კოლხეთის აღმოსავლეთ მხარეს ძვ.წ. V-I სს-ის ძეგლების სიმცირის გამო რაიმე დასკვნის გამოტანის საშუალება გვიძნელდება. კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ აქ ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული ძეგლები სჭარბობს.

§ VII. ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთი:

საჩხერის მუნიციპალიტეტი

117. საირხე (რუკა I, II, III, IV); საირხის ტოპოგრაფიული გეგმა იხ. ტაბ. II, შედგენილი ჯ. ნადირაძის მიერ [ნადირაძე, 1990, ტაბ. XI]. [ლიტ.: ბრაგვაძე, 1997:11-13; მახარაძე, წერეთელი, 2007; ნადირაძე, 1967:68-70; ნადირაძე, 1969:21-23; ნადირაძე, 1971:72-75; ნადირაძე, 1989:21-28; ნადირაძე, 1990] ნაქალაქარი განლაგებულია 15 ბორცვზე. ანაკრეფი მასალის მიხედვით იგი 70 ჰა ფართობს მოიცავს [ნადირაძე, 1990:139]. სადღეისოდ მთლიანად გათხრილი და შესწავლილია საბადურის და სახოველის, ნაწილობრივ წყაროსთავის და ვეშაპიძის გორები [ბრაგვაძე, 1993:4-5; ნადირაძე, 1967:68-70; ნადირაძე, 1969], (იხ. ტაბ. II – საირხის ტოპოგრაფიულ გეგმა, შედგენილი ჯურხა ნადირაძეს მიერ [ნადირაძე, 1990, ტაბ. XI]).

იდენტიფიკაცია. ჯ. ნადირაძეს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ საირხე პტოლემეაიოსთან ნახსენები „სარაკე“ შეიძლება იყოს [ნადირაძე, 1990:139]. გ. ლორთქიფანიძე და გ. ყიფიანიც ამავე აზრს იზიარებენ [ლორთქიფანიძე, ყიფიანი, 2009]. მ. ინაძის აზრით, კი საირხეს ნაქალაქარი გაიგივებული უნდა იქნას სტრაბონისეულ „ფრიქსეპოლის-იდევსასთან“ [ინაძე, 1994:104-118].

პერიოდიზაცია. ჯ. ნადირაძე საირხის ძვ.წ. I ათასწლეულის ძეგლებს (მხედველობაში არ არის მიღებული გვიანანტიკური და ადრეფეოდალური მასალა) სამ პერიოდად ყოფს: I – ძვ.წ. VIII-VII სს.; II – ძვ.წ. VI-IV სს.; III – ძვ.წ. III-I სს. [ნადირაძე, 1990:18]. ზ. ბრაგვაძე ძირითადად ეთანხმება საირხის არსებულ პერიოდიზაციას, მაგრამ ცალკე გამოჰყოფს კიდევ ერთ ფაზას, რომელსაც ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისს და ძვ.წ. VI ს-ის ბოლოს, ან ძვ.წ. V ს-ის დასაწყისს მიაკუთვნებს [ბრაგვაძე, 1993:58-59].

ატრიბუცია. ჯ. ნადირაძის აზრით, ადრეანტიკურ ხანაში (ძვ.წ. VI-IV სს.) „საირხის ქვეყანა“ ტერიტორიულ პრინციპებზე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც სამეფო ხელისუფლებას დამორჩილებულ საგამგეო ქალაქს წარმოადგენს. ქალაქის სათავეში ადგილობრივი არისტოკრატის წარმომადგენელი დგას, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული უფლებებით აღჭურვა და თავის მოხელედ აქცია“ ძვ.წ. III-I სს-ში „საირხე განაგრძობს არსებობას, როგორც იბერიის სახელმწიფოს ერთ-ერთი პროვინციის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი“ [ნადირაძე, 1990:152].

ზ. ბრაგვაძის აზრით, „ძვ.წ. V-IV სს-ში კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის – სკეპტუხიის ცენტრი საირხე იყო.“ საირხის ქვეყნის ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატია აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული ფუნქციებით [ბრაგვაძე, 1993:13]. ფარნავაზის ექსპანსიის აქტიური დასაწყისი ძვ.წ. 279 წლის შემდეგ ხანაში უნდა განხორციელებულიყო. ძვ.წ. II ს-ში საირხე, როგორც ჩანს კვლავ ინარჩუნებს ფარნავაზის მიერ შექმნილი საგამგეო ერთეულის ცენტრალური ქალაქის ფუნქციას. ელინისტური ხანის მიწურულს ან შესაძლებელია გვიანანტიკური ხანის დასაწყისში აღმოსავლეთ კოლხეთში არსებული მცირე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები ერთ დიდ საგამგეო ცენტრად ერთიანდებიან – არგვეთის საერისთაოს სახით, რომლის ცენტრალური ქალაქი ალბათ შორაპანი გახდა [ბრაგვაძე, 1993:50-52]. „ძვ.წ. II-I საუკუნეებიდან იგი (საირხე – დ.ა., ს.ს.) გვევლინება როგორც ყვირილის ხეობის რიგითი დასახლებული პუნქტი“ [ბრაგვაძე, 1993:67].

117. სახოველი (რუკა I, II, III, IV). ორი კულტურული ფენა. I ქვედა – ადრეანტიკური ხანა, ბრინჯაოს სადნობი სახელოსნო; II ზედა – ძვ.წ. II-I სს. [ნადირაძე, 1975:117-124; ბრაგვაძე, 1993:5].

117. კარახტინი (რუკა I, II, III, IV). სამი ქრონოლოგიური ჯგუფი. I – წინარეანტიკური ხანის კერამიკა; II – ადრეანტიკური ხანის კერამიკა (ამ ორ ფენაში ფიქსირდება ბრინჯაოსა და რკინის ზოდები); III – ახ.წ. I ს-ის სამარხები [ბრაგვაძე, მახარაძე, 1990:39; ბრაგვაძე, 1993:5-6].

117. ვეშაპიძის გორა (რუკა I, II, III, IV). გვიანელინისტური ხანის სამარხები (2 ც.) [ნადირაძე, 1975:124-132; ბრაგვაძე, 1993:6].

117. ლომინაური (რუკა I, II, III, IV). აქ შემთხვევით გამოვლენილი იქნა სვეტის დეტალი (ბაზა ან კაპიტელი), რომელსაც ჯ. ნადირაძე ძვ.წ. V-IV სს-ით ათარილებს [ნადირაძე, 1990:110], ი. პიჩიკიანი კი ძვ.წ. VII-VI სს-ით [Пичикийн, 1979:70], გ. ყიფიანი – ძვ.წ. II-I სს-ით [ყიფიანი, 1987:15-22]. გათხრების შედეგად გამოვლენილია ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული გამოსახულებები და შენობის ნაშთები. ლომინაურზე

ორი ფენა დადასტურდა. ქვედა ფენა ადრეანტიკური ხანით თარიღდება. ზედა ფენაში აღმოჩენილი მასალა ძალზე ფრაგმენტულია და სავარაუდოდ იგი ელინისტური ხანით თარიღდება [ნადირაძე, 1975:80-100].

117. კოდისწყალი (რუკა I, II, III, IV). ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხები [ბრაგვაძე, 1993:6].

117. საბადურის გორა (რუკა I, II, III, IV). აქ დადასტურებულია სამი კულტურული ფენა: I – წინარეანტიკური (ძვ.წ. VIII-VII სს.); II – ადრეანტიკური; III – ძვ.წ. III ს. – ახ.წ. I ს. [ნადირაძე, 1990:8-17]. ზ. ბრაგვაძე მეორე ფენას ძვ.წ. VI ს-ით ათარიღებს [ბრაგვაძე, 1993:7]. ჯ. ნადირაძე III ფენაში მოპოვებულ კერამიკულ მასალას სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად ყოფს: I – ზოგადად ძვ.წ. III-II ს.; II – ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მიეკუთვნება ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ს; III ჯგუფის ნაწარმი მხოლოდ ახ.წ. I ს-ში არსებობს [ნადირაძე, 1990:17].

სამაროვანს ჩაჭრილი ჰქონდა ადრეანტიკური და ნაწილობრივ წინარეანტიკური ხანის ძეგლები. აქ გათხრილია 14 სამარხი:

სამარხი № 1 – ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა [მახარაძე, წერეთელი, 2007:34-45; ნადირაძე, 1990:79].

სამარხი № 2 – ძვ.წ. III-II საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება და არ მიეკუთვნება საბადურის გორის მდიდრულ სამარხთა რიგს [მახარაძე, წერეთელი, 2007:45].

სამარხი № 4 – ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი [ნადირაძე, 1990:45; მახარაძე, წერეთელი, 2007:47-50].

სამარხი № 5 – ძვ.წ. V ს-ის შუა წლები [ნადირაძე, 1990:45; მახარაძე, წერეთელი, 2007:50-59].

სამარხი № 6 – ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა [ნადირაძე, 1990:65], ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანები ან მესამე მეოთხედი [მახარაძე, წერეთელი, 2007:59-61].

სამარხი № 7 – ღერგსამარხი, ძვ.წ. III-II სს. [მახარაძე, წერეთელი, 2007:61].

სამარხი № 8 – ჯ. ნადირაძე ამ სამარხს ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებით ათარიღებს [ნადირაძე, 1990:45]; ნ. გოგიბერიძე, მ. წერეთელი და გ. მახარაძე კი – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით [Гогинеридзе, 2003:79; მახარაძე, წერეთელი, 2007:61-72].

სამარხი № 9 – ძვ.წ. IV ს-ის ბოლო [ნადირაძე, 1990:64].

სამარხი № 10 – ჯ. ნადირაძის აზრით, ეს სამარხი ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [ნადირაძე, 1990:97]; ნ. გოგიბერიძე კი მას ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [Гогинеридзе, 2003:78], ხოლო მ. წერეთელი და გ. მახარაძე – ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით [მახარაძე, წერეთელი, 2007:73-80].

სამარხი № 11 – ძვ.წ. III-II სს. [მახარაძე, წერეთელი, 2007:80-83].

სამარხი № 12 – ძვ.წ. III-II სს. [მახარაძე, წერეთელი, 2007:80-83].

სამარხი № 13 – ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი [ბრაგვაძე, მახარაძე, 1999:7].

სამარხი № 14 – ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი [მახარაძე, წერეთელი, 2007:101-109].

ზ. ბრაგვაძე ამ სამარხებს ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად ყოფს: ადრეანტიკურად (№ 5, 8, 10) და ადრეელინისტურად (№ 1, 4, 6, 9), მაგრამ მათ შორის არავითარ განსხვავებას არ ამჩნევს და მათ ერთ პერიოდს (ძვ.წ. V-III სს.) მიაკუთვნებს [ბრაგვაძე, 1993:8].

№ 5 სამარხის სამხრეთით გაითხარა ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული სარიტუალო მოედანი, ხოლო უშუალოდ კლდესთან გაიწმინდა საკულტო ორმო, რომლის დიამეტრი 2, ხოლო სოღრმე 11 მ-ს აღწევდა და ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. თარიღდება [ნადირაძე, 1990:79-86; მახარაძე, წერეთელი, 2007:111-114].

118. მოდინახე (რუკა I). ჯ. ნადირაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ მოდინახეს სამხრეთი ფერდობი, რომელიც სოციალური შინაარსით გორა ნამოსახლარს წარმოადგენს, ადრეანტიკურ ხანაში ციხე-ქალაქად გაფორმებულია [ნადირაძე, 1972:38-40; ნადირაძე, 1990:126].

გათხრების შედეგად დაფიქსირდა სამი კულტურული ფენა: I – ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი (მტკვარ-არაქსის კულტურა); II – ძვ.წ. XII-VII სს.; III – ძვ.წ. VI-IV სს. [ნადირაძე, 1975:15-21, 26].

აქვე აღმოჩენილია სამარხები, აქედან ოთხს (№ 1-4) ჯ. ნადირაძე მიაკუთვნებს ადრეანტიკურ ხანას; ორს (№ 5-6) ძვ.წ. III ს-ით ათარიღებს [ნადირაძე, 1975:15-21, 26]. ნ. გოგიბერიძე № 6 სამარხს ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებს მიაკუთვნებს [Гогіберидзе, 2003:79].

მოდინახეში მოსახლეობა ისევე როგორც საირხეში, განსაკუთრებით გაზრდილი და გაფართოებული ძვ.წ. VI-I საუკუნეებში ჩანს. ქვის საძირკველზე დაფუძნებული, ბათქაშებით შელესილი ხის ნაგებობები ტერასებად მოწყობილ ეზოებშია განლაგებული. დასახლება, რომელიც დაახლოებით 4 ჰა-ს მოიცავს, შემოზღუდული ყოფილა მშრალად ნაშენი ქვის ფართო კედლით [ნადირაძე, 1990:125].

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

119. წინსოფლის ციხე (რუკა I). მდებარეობს საირხის დასავლეთით 20 კმ-ის დაშორებით, სოფ. წინსოფელში, მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე.

აქ წარმოებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილ იქნა ორი უბანი – უშუალოდ წინსოფლის ციხესთან არსებული სამოსახლო და ჯიეთის ნამოსახლარი. ისინი შემოსაზღვრული ყოფილა მშრალად წყობილი ქვის

ფართო კედლით. გარედან მშრალად წყობილი კედლებითაა ნაგები, მათ შორის არე კი ღორღითაა ამოვსებული.

წინსოფლის ციხის სამხრეთ ფერდობზე გამოვლენილია ადრეანტიკური ხანის ნაგებობები, რომელთა შესწავლის დროს აღმოჩნდა ძვ.წ. V-IV სს-ის კერამიკა. აქვეა გამოვლენილი ლითონის სადნობი სახელოსნო [ნადირაძე, 1990:128].

ჯიეთში ადრეანტიკური ხანის ძეგლები მიწის სამუშაოების შედეგადაა განადგურებული. კარგად შემორჩა მხოლოდ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მასალა [ნადირაძე, 1990:127-128].

ამ ძეგლების გარდა წინსოფელში გამოვლენილია ახ.წ. II-IV სს-ის ვრცელი სამაროვანი [ნადირაძე, 1990:129].

120. ითხვისი (რუკა I). სამაროვანი [აბრამიშვილი, 1963:5-8; აბრამიშვილი, 1964:32-34; აბრამიშვილი, 1965:41-42; გაგოშიძე, 1968:31-45].

ამ სამაროვანზე გაითხარა და სამეცნიერო მიმოქცევაში კატალოგის სახით შემოვიდა 21 სამარხი. ი. გაგოშიძემ, ნ. გოგიბერიძემ და გ. მახარაძემ ერთობლივ ნაშრომში წარმოადგინეს ითხვისის ყველა სამარხის თარიღი და მოახდინეს ძველი თარიღების კორექტირება [გაგოშიძე და სხვა, 2006:36-59, ტაბ. V-XXIV; გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე, 2010:49-55]:

ძვ.წ. V სს-ის შუა ხანა, ან მეორე ნახევარი – სამარხები №№ 16, 20, 21.

ძვ.წ. V სს-ის ბოლო – IV სს-ის პირველი ნახევარი – სამარხი № 11.

ძვ.წ. IV სს-ის დასწყისი – სამარხი № 1

ძვ.წ. IV სს-ის პირველი ნახევარი – №№ 2, 3, 4.

ძვ.წ. IV სს-ის პირველი ნახევარი-შუახანები – სამარხები №№ 7, 8.

ძვ.წ. IV სს-ის შუა ხანა – სამარხები №№ 9, 12, 13, 14, 15.

ძვ.წ. IV სს. – სამარხები №№ 10, 18.

ძვ.წ. IV სს-ის მეორე ნახევარი – III სს-ის დასწყისი – სამარხი № 6.

ძვ.წ. IV-III სს. – სამარხი № 5 [გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე, 2010:54].

კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ძვ.წ. V-I სს-ში ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობს, ოღონდ ძვ.წ. III სს-ის მეორე ნახევრიდან მისი დონე მკვეთრად ეცემა.

კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის ისტორია ძვ.წ. V-I სს-ში ორ ძირითად პერიოდად შეიძლება დაიყოს: პირველი – ძვ.წ. V-III სს.-ის დასაწყისი; მეორე – ძვ.წ. III სს-ის მეორე ნახევარი – I სს. პირველ პერიოდში ეს რეგიონი განვითარებული ჩანს; მეორედან, კი დაქვეითება შეინიშნება.

§ VIII. კოლხეთის მთიანი ზოლი:

ამ რეგიონს გამოკვეთილი ცენტრი არ გააჩნია.

მესტიის მუნიციპალიტეტი

121. ლარი-ლარი (რუკა I). სამაროვანი [გობეჯიშვილი და სხვ. 1965:33-35; ჩართოლანი, 1966], ორი კრემაციული მოედანი: I – ძვ.წ. VI-IV სს., II – ძვ.წ. V ს-ის დასასრული – ძვ.წ. III ს-ის დასასრული [ჩართოლანი, 1996:143-145; Чартолани и др., 1984:41-44].

122. ეცერა (რუკა I). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [ჩართოლანი, 1996:146-147].

123. უშგული (რუკა I). ნამოსახლარი, ადრეანტიკური ხანა [ჩართოლანი, 1996:147-149; ცინდელიანი, 2007:57-59].

ონის მუნიციპალიტეტი

124. ბრილი (რუკა I, II, III, IV). ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-IV სს. [ღამბაშიძე, 1961:22-23]. სამაროვანი, ძვ.წ. VII-IV სს-ის 12 სამარხი, ძვ.წ. III-I სს-ის 4 სამარხი [გობეჯიშვილი, 1953:14; გობეჯიშვილი, 1962:22].

125. შრომისუბანი (რუკა I). სამაროვანი (3 სამარხი), ძვ.წ. V-IV სს. [გობეჯიშვილი, 1963:27-30].

არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთის მთიანი ზოლი შედარებით უკეთ ათვისებულია ძვ.წ. V-IV სს-ში; ძვ.წ. III ს-დან აქაც აღინიშნება ცხოვრების დაკნინება.

დასკვნა

ძვ.წ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რუკის შედგენისას ქვეყნის ისტორია, კვლევის ამ ეტაპზე, ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

პირველი – ძვ.წ. V ს. – III ს-ის დასაწყისი, ერთიანი სამეფოს პირობებში, მთელი კოლხეთი მჭიდროდ არის დასახლებული, განსაკუთრებით სანაპირო ზოლი, რიონის შუა წელის მარცხენა სანაპირო და ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. დაწინაურებული ჩანს ხუთი ცენტრი: სამი – ფიჭვნარი, ფასისი, დიოსკურია სანაპირო ზოლში; შიდა რაიონებში – ვანი და საირხე. სულ დაფიქსირებულია 115 პუნქტი:

1. **ფიჭვნარი**; 2. გონიო; 3. მახვილაური; 4. ბათუმი, „თამარის ციხე“; 5. კვაშტა; 6. კოლოტაური; 7. ციხისძირი; 8. კონი „ნაჯიხურალი“; 10. **ფასისი**; 11. გრიგოლეთი; 12. ქ. ფოთი (პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს), ადგილი „ნატეხები“ 13. საქორქიო „სიმაგრე“; 13. „სიმაგრეს“ ნამოსახლარის გარშემო; 13. თხრილი № 26; 13. თხრილი № 33; 13. თხრილი № 37; 13. თხრილი № 38; 13. თხრილი № 39; 13. თხრილი № 40; 14. საბაჟო უბანი; 15. საქორქიო, „სატყეო უბანი“; 16. თხინას ტყე; 17. ნადართუ; 18. ყულევი; 19. ცაიში; 20. ერგეტა, „დიდი ლეტა“; 20. ერგეტა, „მამულიას დინა გუძუბა“; 20. ერგეტა, „იზორიების დინა გუძუბა“; 20. ერგეტა, „ცვანეს დინა გუძუბა“; 21. ორული, „წურწუმიების დინა გუძუბა“; 21. ორული, „პერტიების დინა გუძუბა“; 22. ანაკლია, „დინა გუძუბა II“; 24. ფიჩორი; 24. ფიჩორის „დინა გუძუბა“; 25. ნაკარგალი; 26. აბაჟუ; 27. **დიოსკურია**; 28. მოქევი; 30. ახულ-აბაა; 31. გიენოსი; 32. ქ. ოჩამჩირე; 33. ბაღლანი; 34. ტამიში; 35. ფშაპი; 36. მდ. კელასურსა და მდ. მაჭარის წყალგამყოფი თხემის გასწვრივ; 37. აგუძერა; 39. მაჭარა; 40. კელასურის მარცხენა ნაპირი; 41. წებელდა; 43. ქვემო ეშერა (ვერემწიაგინის ბორცვი); 44. ეშერა; 45. გვანდრა; 47. იაშთხვა; 49. შიკუბა; 50. შუბარა; 51. მდ. ბესლეთის შესართავთან; 52. ბაგრატის ციხე; 53. სოხუმი (დრამატული თეატრის ტერიტორია); 53. სოხუმი (1. ოქტომბრისა და კალინინის ქუჩებს შორის დადებულ საკოლექტორო თხრილში); 53. სოხუმის ციხე; 54. მთა გუადიხუ; 55. წითელი შუქურა; 56. სოხუმის მთა; 57. ქ. გუდაუთა; 58. სოფ. ყულანურხვას მახლობლად; 59. სოფ. პრიმორსკი; 60. ანაკოფია; 62. მდ. ლაფსტას მარცხენა ნაპირი; 63. **ვანის ნაქა-**

ლაქარი; 64. გურიანთა; 65. გოგორეთი; 66. ზემო ფარცხმა; 67. წიფნარი; 72. საგვიჩო; 74. გულიეკარი; 75. ნამარნუ; 76. დაფნარი; 77. დაბლაგომი; 78. მთისძირი; 80. სულორი; 81. ვარდციხე, „გიორგობიანების გორა“; 82. წითელხევი; 83. ოფშკვითი; 86. სოფ. ლია, პალურის უბანი; 88. ნოქალაქევი; 89. ნანეფიშ ქალე; 90. ბატნაოხორუ; 97. მათხოჯი; 98. „გაბაშვილების გორა“; 98. „დათეშიძეების გორა“; 98. „ფარნალის გორა“; 98. „სარბევი გორა“; 102. ჭოგნარი; 104. ბაში; 108. პატრიკეთი; 109. ცხეთა; 110. მურის ციხის მიდამოები; 111. უსახელო; 112. ქ. ზესტაფონი; 114. შორაპანი; 115. საზანო; 117. **საირხე**; 117. სახოველი; 117. კარახტინი; 117. ლომინაური; 117. კოდისწყალი; 117. საბადურის გორა; 118. მოდინახე; 119. წინსოფლის ციხე; 120. ითხვისი; 121. ლარი-ლარი; 122. ეცერა; 123. უშგული; 124. ბრილი; 125. შრომისუბანი (რუკა I).

მეორე – ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი – II ს., ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, თითქმის მთლიანად ქრება ცხოვრების კვალი კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალურ სანაპირო ზოლში; ნამოსახლართარიცხვი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კლებულობს; მდ. რიონის სამხრეთით, სასოფლო ტერიტორიებზე მოსახლეობა მცირდება, ზოგიერთ ადგილას საერთოდ ქრება და სავარაუდოდ, მისი კონცენტრაცია ძველ ვანთან, საყანჩიაზე ხდება; ასევე ცხოვრების დონის ერთგვარი დაქვეითება კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშიც შეინიშნება. დიოსკურია და ვანი – ამ პერიოდის გამოკვეთილი ცენტრებია. სულ დაფიქსირებულია 64 პუნქტი:

9. შეკვეთილი, „ლეკიანი“; 10. **ფასისი** (?); 12. ქ. ფოთი, „ნატხეები“; 23. შეშელეთი, დიხა გუძუბა; 27. **დიოსკურია** (?); 29. ათარა; 30. ახულ-აბაა; 31. გიენოსი; 33. ბაღლანი; 41. წებელდა; 43. ქვემო ეშერა (ვერემშაგინის ბორცვი); 44. ეშერა; 45. გვანდრა; 46. ოსტიუში; 53. სოხუმი, ვოლოდარსკოე; 53. სოხუმი (დრამატული თეატრის ტერიტორია); 53. სოხუმი, სასტუმრო „რიწასთან“; 53. სოხუმის ციხე; 54. მთა გუადიხუ; 55. წითელი შუქურა; 56. სოხუმის მთა; 57. ქ. გუდაუთა; 58. სოფ. ყულანურხვას მახლობლად; 59. სოფ. პრიმორსკი; 60. ანაკოფია; 62. მდ. ლაფსტას მარცხენა ნაპირი; 63. **ვანის ნაქალაქარი**; 64. გურიანთა; 65. გოგორეთი; 66. ზემო ფარცხმა; 68. ბუკისციხე; 69. ზენობანი; 70. ქვემოხეთი; 71. ჩიბათი; 76. დაფნარი; 77. დაბლაგომი; 78. მთისძირი; 79. საყანჩია; 81. ვარდციხე, „გიორგობიანების გორა“; 84. ზედა დიმი; 88. ნოქალაქევი; 89. ნანეფიშ ქალე; 90. ბატნაოხორუ; 91. ოფაჩაფუ; 92. კოდორე; 93. ბანძა; 99. ფარცხანაყანევი; 100. მუხიანი; 101. უკანეთი; 102. ჭოგნარი; 104. ბაში; 106. გეგუთი; 109. ცხეთა; 111. უსახელო; 114. შორაპანი; 115. საზანო; 117. **საირხე**; 117. სახოველი; 117. კარახტინი; 117. ვეშაპიდის გორა; 117. ლომინაური; 117. კოდისწყალი; 117. საბადურის გორა; 124. ბრილი (რუკა II).

